პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი
№ 221 (10918) | ოთხშაბათი, 18 სექტემბერი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

წლითიწლობით იზრდება საერთაშორისო მნიშვნელობა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა, რომელმაც ახალი ნათელი ჰორიზონტები გადაუშალა კაცობრიობას, მაღლა ასწია სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლის დროშა, კომუნიზმის დროშა.

ეროვნული

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცი წლისთავისათვის

(1917—1957)

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თეზისები

მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკის ზრდამ და კულტურის ამაღლებამ, კომუნისტური მშენებლობის ახალმა ამოცანებმა მოითხოვეს, რომ მნიშვნელოვნად გაფართოებულიყო მოკავშირე რესპუბლიკების უფლებანი მეურნეობის ხელმძღვანელობაში. საწარმოთა დიდი რაოდენობა და მრეწველობის მთელი რიგი დარგები, რომლებიც წინათ საერთო-საკავშირო ორგანოების გამგებლობაში იყვნენ, ახლა გადაეცა უშუალოდ მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობაში; გაფართოვდა მოკავშირე რესპუბლიკების უფლებანი მეურნეობის სახელმწიფო დაგეგმვასა და დაფინანსებაში, სასამართლო და ადმინისტრაციული საქმიანობის დარგში, კულტურული მშენებლობის საქმეში. ყველა ეს დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება ქმნის კიდევ უფრო ფართო შესაძლებლობებს იმისათვის, რომ განვითარდეს სსრ კავშირის ყველა რესპუბლიკისა და ყველა ხალხის ინიციატივა და შემოქმედებითი ძალები, განამტკიცებს მათს მეგობრობასა და ძმურ თანამშრომლობას.

კომუნისტური პარტია გადამწყვეტ ბრძოლას ეწეოდა და კვლავაც იბრძოლებს იმისათვის, რომ უფრო ფართოდ მიაღებინოს ხალხის მასებს აქტიური მონაწილეობა სახელმწიფოს მართვაში, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობაში, იბრძოლებს ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის შემცირებისათვის. პარტია იბრძვის იმისათვის, რომ ამაღლდეს სოციალისტური სახელმწიფოს ყველა რგოლის, მშრომელთა ყველა მასობრივი ორგანიზაციის — საბჭოების, პროფკავშირების, კომკავშირისა და სხვა ორგანიზაციების როლი და აქტივობა. იგი მტკიცედ იბრძვის იმისათვის, რომ აღმოიფხვრას სოციალიზმისათვის უცხო შეხედულებანი შრომაზე და საზოგადოებრივ საკუთრებაზე, რაზმავს საზოგადოებრივ აზრს ბურჟუაზიულ ზნეჩვეულებათა ყველა და ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ.

სოციალისტური დემოკრატიზმის გამოხატულების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმაა კრიტიკა და თვითკრიტიკა. კრიტიკისა და თვითკრიტიკის დახმარებით პარტია და საბჭოთა ხალხი ავლენენ და აღმოფხვრიან ნაკლოვანებებს სოციალისტური საზოგადოების ცხოვრებაში, აჩქარებენ მის წინსვლას.

ისტორიის გამოცდილება გვასწავლის, რომ პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო მთავარი იარაღია ხალხის ხელში ახალი, სოციალისტური საზოგადოების შესაქმნელად. საბჭოთა საზოგადოებას თანამედროვე პირობებში ჯერ კიდევ ესაჭიროება მტკიცე სახალხო სახელმწიფო იმისათვის, რომ დაიცვას სოციალიზმის მონაპოვარნი გარეშე მტრებისაგან და უხელმძღვანელოს კომუნიზმის მშენებლობას.

კომუნიზმი მთელი კაცობრიობის ნათელი ხვალინდელი დღეა. კომუნიზმის აშენება კომუნისტური პარტიის საბოლოო მიზანია.

კომუნისტური საზოგადოების პირობებში კლასობრივი განსხვავებანი მთლიანად მოისპობა, წარმოების საშუალებები გადაიქცევა საკუთრების ერთიან, კომუნისტურ ფორმად და საზოგადოებრივი წარმოება, განვითარდება რა უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე, სავსებით დააკმაყოფილებს საზოგადოების ყველა წევრის მოთხოვნილებებს.

„კომუნიზმი, — გვასწავლიდა ვ. ი. ლენინი, — არის შრომის უმაღლესი, კაპიტალისტურთან შედარებით, ნაყოფიერება ნებაყოფლობით მომუშავე, შეგნებული, გაერთიანებული, მოწინავე ტექნიკის გამომყენებელი მუშებისა“ (თხზ., ტ. 29, გვ. 499).

ადამიანებს კომუნიზმის დროს ყველა საშუალება მიეცემათ ყოველმხრივ განივითარონ თავიანთი ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობანი. აღმოიფხვრება არსებითი განსხვავება გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის, სოფელსა და ქალაქს შორის. თვითეული იშრომებს უნარის მიხედვით და მიიღებს მოთხოვნილების მიხედვით, და შრომა სიხარულს მიანიჭებს ადამიანს.

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში ახალ წარმატებათა აუცილებელი პირობაა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა, მისი მონოლითური ერთიანობა, მისი კავშირი მასებთან.

V. კომუნისტური პარტია საბჭოთა ხალხის გამარჯვებათა ბელადი, შთამგონებელი და ორგანიზატორია

19. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, სსრ კავშირში სოციალიზმისა და კომუნიზმის ძლევამოსილი მშენებლობის მთელი უმდიდრესი გამოცდილება დამაჯერებლად ცხადყოფს, რომ იმის გადამწყვეტი პირობა, რომ მუშათა კლასმა შეასრულოს თავისი მსოფლიო-ისტორიული მისია — დაამხოს კაპიტალიზმი და შექმნას ახალი, კომუნისტური საზოგადოება, არის მისი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლი.

თუ არ არის პარტია, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს ყოველივე უაღრესად მოწინავეს, გაბედულს, გმირულსა და თავდადებულს, რაც აქვს მუშათა კლასს, ხალხს, თუ არ არის პარტია, რომელიც ძლიერია თავისი მარქსისტულ-ლენინური თეორიით, თავისი რიგების რკინისებური ერთიანობით, ხალხის უფართოეს მასებთან უმჭიდროესი, ურღვევი კავშირით, მუშათა კლასი ვერ გაიმარჯვებს.

რომ არ ყოფილიყო პარტია, რომელიც მაღალი მორალური ავტორიტეტით, ათეულ და ასეულ მილიონობით მშრომელთა სიყვარულით, ნდობითა და პატივისცემით სარგებლობს, მშრომელთა, რომლებიც მზად არიან ბოლომდე გაჰყვნენ პარტიას ბრძოლაში, მხარს უჭერენ მის ლოზუნგებს, მის წამოწყებებს, მის პოლიტიკას, — რომ არ ყოფილიყო ასეთი დიადი პარტია, ლენინის მიერ შექმნილი და აღზრდილი, რუსეთის მუშები და გლეხები ვერ დაამხობდნენ ცარიზმს, რუსეთის კაპიტალიზმს, ვერ მოიპოვებდნენ და ვერ შეინარჩუნებდნენ თავიანთ საბჭოთა ხელისუფლებას — მუშათა კლასის დიქტატურას, ვერ მოიგერიებდნენ შინაური კონტრრევოლუციისა და უცხოელი ინტერვენტების, იმპერიალისტი აგრესორების გააფთრებულ იერიშებს.

მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმის სწორი კომპასით შეიარაღებული კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, რომელსაც მთელი საბჭოთა ხალხი მიჰყავს ერთიანი, დიადი მიზნისაკენ, შეიძლებოდა აშენებულიყო სოციალისტური საზოგადოება სსრ კავშირში. ამ მსოფლიო-ისტორიული ამოცანის გადაწყვეტამ ობიექტურად დააყენა საბჭოთა ხალხი პროგრესული კაცობრიობის ავანგარდში.

ლენინიზმი გვასწავლის: რაც უფრო რთულია, რაც უფრო ძნელი და დიადია გადასაჭრელი ამოცანები, რაც უფრო ღრმაა რევოლუციური გადატრიალება, მით უფრო მეტი ხალხთა მასები უნდა ავამოძრაოთ, დავრაზმოთ, შთავაგონოთ და წარვმართოთ მათი ნება გამარჯვებისაკენ. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია სწორედ იმიტომ არის უდიდესი ყველა რევოლუციას შორის, რომ იგი მოწოდებული იყო პირველად მსოფლიო ისტორიაში განეხორციელებინა ყველაზე დიდი, ყველაზე ძნელი რევოლუციური გარდაქმნა ხალხთა უფართოესი მასების ცხოვრებაში. და ეს მშრომელი მასები მუშათა კლასის მეთაურობით უნდა გაენათლებინა, აღეზარდა, აემოძრავებინა და წაეყვანა დიად ბრძოლაში თავისუფლებისათვის, საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნისათვის, ყველაზე სამართლიანი საქმისათვის, მთელი ხალხის ბედნიერებისათვის, კომუნიზმისათვის. სწორედ ეს განახორციელა ჩვენმა დიადმა კომუნისტთა პარტიამ და კვლავ ახორციელებს.

ჯერ კიდევ ცხრაასიანი წლების დამდეგს, ჩვენი პარტიის შექმნის გარიჟრაჟზე, ლენინი ამბობდა: „მოგვეცით რევოლუციონერთა ორგანიზაცია — და ჩვენ გადავაბრუნებთ რუსეთს!“ (თხზ., ტომი 5, გვ. 593). ლენინური პარტიის რიგებში სულ მხოლოდ 240.000 მამაცი რევოლუციონერი იყო, როცა პარტიამ 1917 წლის ოქტომბერში წაიყვანა მუშათა და გლეხთა მასები კაპიტალიზმზე შესატევად. ახლა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია გაიზარდა მძლავრ პოლიტიკურ არმიად, რომელიც პარტიის რვა მილიონამდე წევრსა და წევრობის კანდიდატს აერთიანებს.

ლენინი, მისი მიმდევრები და თანამებრძოლები კომუნისტურ პარტიას, როგორც ახალი ტიპის პარტიას, ქმნიდნენ მარქსიზმის გრანიტის, იდეურ საფუძველზე, ეყრდნობოდნენ რა რუსეთის მზარდ რევოლუციურ მუშათა მოძრაობას, აგრეთვე საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მთელ ისტორიულ გამოცდილებას. ლაპარაკობდა რა ამაზე, ლენინი 1920 წელს წერდა: „მარქსიზმი, როგორც ერთადერთი სწორი რევოლუციური თეორია, რუსეთმა ჭეშმარიტად **ტანჯვით მოიპოვა**, გაუგონარი წამებისა და მსხვერპლის, უმაგალითო რევოლუციური გმირობის, წარმოუდგენელი ენერგიისა და თავდადებული ძიების, სწავლის, პრაქტიკაში გამოცდის, იმედგაცრუების, შემოწმების, ევროპის გამოცდილებასთან შედარების ნახევარი საუკუნის ისტორიით“. (თხზ., ტომი 31, გვ. 11).

მეფის დესპოტიზმის მიერ უმაგალითო ჩაგვრის, თვითნებობისა და ძალადობის პირობებში ჩვენმა სახელოვანმა კომუნისტურმა პარტიამ, რომელმაც აურაცხელი მსხვერპლი გაიღო, სახელოვანი გამარჯვებები მოიპოვა და დროებითი დამარცხებები განიცადა, დიადი საქმეებით დაამტკიცა ურყევი ერთგულება კომუნისტური წითელი დროშისადმი, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებისადმი, უსაზღვრო ერთგულება თავისი ხალხისადმი, საერთაშორისო მუშათა მოძრაობისადმი, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის წმიდათაწმიდა პრინციპებისადმი.

ეს არის წყარო ჩვენი პარტიის ძალისა და წარმატებებისა, იმ სიყვარულისა და პატივისცემისა, რომლითაც პარტიისადმი გამსჭვალული არიან სსრ კავშირის მუშები, გლეხები და ინტელიგენცია, ყოველივე პატიოსანი და მოწინავე, რაც კი მსოფლიოში არის. ამ პატივისცემასა და სიყვარულს ვერასოდეს და ვერავინ ვერ შეარყევს.

შემთხვევითი როდია, რომ რევოლუციის, სამოქალაქო და სამამულო ომების ყველაზე ძნელ პერიოდებში უაღრესად გადიდდა მუშებისა და გლეხების შესვლა თავიანთ კომუნისტურ პარტიაში. ასე იყო დიდი ოქტომბრის წინ, როცა საჭირო იყო გადამწყვეტი ბრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ. ასე იყო სამოქალაქო ომის ერთ-ერთ ყველაზე ძნელ მომენტში, 1919 წლის ოქტომბერში, როცა პარტიაში პარტიული კვირის განმავლობაში შევიდა 200 ათასამდე მუშა და გლეხი. ლენინის გარდაცვალება უმძიმესი დანაკლისი იყო პარტიისა და ხალხისათვის. ამის პასუხად 240 ათასი მოწინავე მუშა შევიდა თავის პარტიაში, რათა დახმარება გაეწია ლენინური ანდერძის შესრულებისათვის. სტალინგრადთან დიდი ბრძოლის დროს 1942 წლის სექტემბრიდან 1943 წლის 1 თებერვლამდე კომუნისტურ პარტიაში შევიდა 832 ათასი მუშა და გლეხი. ამით გამოიხატება ხალხის ნდობა თავისი პარტიისადმი, როგორც ნაცადი ორგანიზატორისა და ბელადისადმი, პარტიისა და ხალხის ურღვევი კავშირი სოციალიზმის საქმისათვის ბრძოლის ყველაზე ძნელ მომენტებში.

სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის ისტორიული გამოცდილება გვასწავლის, რომ სოციალისტური საზოგადოების აშენება და განვითარება რთული პროცესია, რომელიც დაკავშირებულია მრავალი სიძნელის, წინააღმდეგობის, დამხობილი კლასების საწინააღმდეგო მოქმედების დაძლევასთან, ძველი ჩვევების, ზნეჩვეულების, წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული ანტისოციალისტური ტენდენციების დაძლევასთან.

მხოლოდ იმით, რომ ჰყავდა ბრძოლებში გამოწრთობილი ავანგარდი პროლეტარიატისა — კომუნისტური პარტია, რომელსაც შესწევს უნარი გაბედულად იცქიროს წინ, სწორად, მეცნიერულად გაიგოს და გამოიყენოს ახალი საზოგადოების მშენებლობისა და განვითარების კანონები, საბჭოთა ხალხმა შეძლო წარმატებით დაეძლია უდიდესი სიძნელეები თავის გზაზე და მოეპოვებინა გამარჯვება.

20. სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობა თვით ხალხის მასების შემოქმედებაა. მილიონობით მუშის, გლეხისა და ინტელიგენციის შემოქმედებითს ღონისძიებებს კომუნისტური პარტია აერთებს ერთიან ნაკადად და წარმართავს საერთო დიადი მიზნისაკენ. თავისი პირველადი ორგანიზაციების მეშვეობით, პარტიიდან მასებისაკენ ამძრავი ღვედების მეშვეობით, როგორიც არიან საბჭოები, რომლებიც წარმოადგენენ ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელს, პროფკავშირები, რომლებშიც გაერთიანებულია თითქმის უკლებლივ ყველა მუშა და მოსამსახურე, კოოპერაცია, რომელიც მოიცავს გლეხობასა და შინამრეწველებს, კომკავშირი, რომელიც აერთიანებს ჩვენი ქვეყნის 20 მილიონამდე ჭაბუკსა და ქალიშვილს, მშრომელთა სხვადასხვა საზოგადოებისა და ორგანიზაციის მეშვეობით პარტია გავლენას ახდენს საბჭოთა ხალხის ცხოვრების ყველა მხარეზე, ხელმძღვანელობს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგს.

ამჟამადაც, სოციალიზმის მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობითი გადასვლის პირობებში, კომუნისტური პარტია ამჭიდროებს, რაზმავს, ზრდის, აღაფრთოვანებს საბჭოთა ხალხს, მიუძღვის მას წინ, ახალი გამარჯვებებისაკენ. კომუნისტების პარტია ხალხის მთელი შემოქმედებითი მოღვაწეობის სულია, კომუნისტური საზოგადოების დიდი ხუროთმოძღვარია. ამიტომ ის, ვინც ნებით თუ უნებლიეთ ცდილობს შეასუსტოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლი ამა თუ იმ დარგში, ის კომუნიზმის მტრებს ეხმარება.

ხალხის მასებისადმი ხელმძღვანელობაში კომუნისტური პარტიის წარმატებითი მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი პირობაა მისი იდეური და ორგანიზაციული ერთიანობა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მთელი თავისი მრავალი წლის ისტორიის მანძილზე ეწეოდა ბრძოლას ერთიანობისათვის, ანტიმარქსისტულ ჯგუფთა და მიმდინარეობათა ფრაქციული საქმიანობის წინააღმდეგ, მონარქისტო ელემენტების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ პარტიის დისციპლინისათვის. კომუნისტურმა პარტიამ შეძლო სათავეში ჩასდგომოდა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმისათვის ბრძოლის მსოფლიო-ისტორიულ საქმეს და უზრუნველეყო მისი გამარჯვება ყოველგვარი რევიზიონისტული და დოგმატიკურ-სექტანტური, მარქსიზმ-ლენინიზმისათვის უცხო შეხედულებებისადმი თავისი შეურიგებლობის მეოხებით. პარტიამ ამხილა და გაანადგურა ისეთი მტრული მიმდინარეობანი, როგორიც არის მენშევიზმი, ესეროვშჩინა, ტროცკიზმი, მემარჯვენე გადახრა, ბურჟუაზიული ნაციონალიზმი და სხვ. უამისოდ წარმოუდგენელი იყო მუშათა კლასის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობა და სოციალისტური საზოგადოების აშენება. „...რუსეთში — წერდა ლენინი, — **მრავალჯერ** იყო მძიმე მდგომარეობა, როცა საბჭოთა რეჟიმი **უსათუოდ** დაეცემოდა, რომ მენშევიკები, რეფორმისტები, წვრილბურჟუაზიული დემოკრატები დარჩენილიყვნენ ჩვენს პარტიაში“. (თხზ. ტ. 31, გვ. 468).

1920 წელს ვ. ი. ლენინი წერდა, რომ ძველი საზოგადოების ძალებისა და ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლას არ შეიძლება ვეწეოდეთ წარმატებით, თუ არ იქნა რკინისებური და ბრძოლაში გამობრძმედილი, უსასტიკესად დისციპლინირებული და ცენტრალიზებული პარტია. როცა ანტიპარტიული ელემენტები პარტიის რიგებში დაჟინებით მოითხოვდნენ ფრაქციებისა და დაჯგუფებების თავისუფლებას, უარყოფდნენ პარტიულ დისციპლინას, ერთნაირს პარტიის ხელმძღვანელებისა და რიგითი წევრებისათვის. X ყრილობამ მიიღო რეზოლუცია პარტიის ერთიანობის შესახებ, რომელიც ცენტრალურ კომიტეტს აძლევდა რწმუნებას „დისციპლინის დარღვევის ან ფრაქციულობის აღორძინების თუ დაშვების შემთხვევაში გამოიყენოს პარტიული სასჯელის ყველა ზომა თვით პარტიიდან გარიცხვამდე, ხოლო ცენტრალური კომიტეტის წევრების მიმართ მათი გადაყვანა კანდიდატებად და, როგორც უკიდურესი ღონისძიება, პარტიიდან გარიცხვაც კი“.

კომუნისტურმა პარტიამ და მთელმა საბჭოთა ხალხმა ერთსულოვნად დაგმეს მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვისა და მათთან მიმხრობილი შეპილოვის ანტიპარტიული ჯგუფის გამთიშველი, ფრაქციული საქმიანობა. პარტიისა და ხალხისაგან მოწყვეტილმა ამ ანტიპარტიულმა ჯგუფმა გაილაშქრა პარტიის XX ყრილობის ხაზის წინააღმდეგ, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის პარტიის ხაზის წინააღმდეგ, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებისათვის ყველა ახალი ღონისძიების წინააღმდეგ, ყამირი მიწების გატეხის წინააღმდეგ, იმ მოწოდების წინააღმდეგ, რომ დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების მხრივ, მრეწველობის მართვის გარდაქმნისა და სხვა დიდმნიშვნელოვან ღონისძიებათა წინააღმდეგ.

ანტიპარტიული ჯგუფის ერთსულოვანმა დაგმობამ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ ჩვენს ქვეყანაში მტრული, ანტაგონისტური კლასების ლიკვიდაციის შემდეგ შეიქმნა სოციალისტური საზოგადოების ისეთი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, რომლის დროსაც არავითარ ანტიპარტიულ ჯგუფს, რა ალმითაც უნდა გამოდიოდეს იგი, არ შეიძლება ჰქონდეს პარტიასა და ხალხში მხარდაჭერის იმედი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ უყოყმანოდ გააჩაღა ბრძოლა ი. ბ. სტალინის პიროვნების კულტის წინააღმდეგ, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა პარტიის მოღვაწეობასა და კომუნისტური მშენებლობის საქმეს, დაგმო მის მიერ თავისი მოღვაწეობის უკანასკნელ პერიოდში დაშვებული შეცდომები, რათა გამორიცხულიყო ასეთი შეცდომების განმეორების შესაძლებლობა. პარტიამ მკვეთრად გააკრიტიკა პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების დარღვევა, კოლექტიური ხელმძღვანელობისა და შინაპარტიული დემოკრატიის ლენინური პრინციპებისაგან გადახვევა, სოციალისტური კანონიერების დარღვევები. ამ დარღვევათა ლიკვიდაციამ განამტკიცა ჩვენი პარტია, უფრო აამაღლა მისი ავტორიტეტი მშრომელთა მასებში.

კომუნისტური პარტიის მოღვაწეობის უმაღლესი კანონია მუდმივი, ყოველდღიური კავშირი ხალხის უფართოეს მასებთან, ზრუნვა ხალხის საჭიროებისათვის, კეთილდღეობისათვის. კომუნისტური პარტიისათვის, ნამდვილად სახალხო პარტიისათვის, არ არსებობს სხვა ინტერესები, გარდა ხალხის ინტერესებისა. ამიტომ საბჭოთა ხალხი ყოველთვის ენდობოდა და ენდობა თავის პარტიას, მხარს უჭერს მის პოლიტიკას, როგორც საკუთარ პოლიტიკას, რადგან ეს პოლიტიკა მეცნიერულად გამოხატავს მის ძირეულ და ყოველდღიურ ინტერესებს. კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა ხალხს შორის არსებობს ურღვევი ერთიანობა. ეს არის პარტიისა და ხალხის ძალის წყარო.

პარტიისა და ხალხის ერთიანობა სოციალისტური საზოგადოების ძლიერების ნამდვილი გარანტიაა, კომუნიზმის წარმატებით მშენებლობის საწინდარია. სანამ ურღვევია კავშირი პარტიასა და ხალხს შორის, სოციალიზმის ძალებისათვის საშიში არ არის არავითარი ქარიშხალი და გრიგალი, კომუნიზმის მტრების არავითარი გაბოროტებული და ცილისმწამებლური პროპაგანდა. ამიტომ საჭიროა განვამტკიცებდეთ პარტიისა და ხალხის ერთიანობას, როგორც წმიდათაწმიდას. არა მარტო ვასწავლიდეთ მასებს, არამედ ვსწავლობდეთ მასებისაგანაც ახალი ცხოვრების შემოქმედების მათი ცოცხალი მაგალითით — ასეთია ლენინიზმის უმნიშვნელოვანესი მცნება და ვინც მას ივიწყებს, ის მარცხდება.

21. მარქსისტული პარტიის ცხოველუნარიანობის, ძალისა და სიმწიფის ნიშანია მისი უნარი შემოქმედებითად იყენებდეს რევოლუციურ თეორიას იმ ახალი ამოცანების გადაჭრაში, რომლებსაც აყენებს თვით ცხოვრების განვითარება, პრაქტიკა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია II ინტერნაციონალის რევიზიონისტებისა და დოგმატიკოსების საწინააღმდეგოდ, ჩვენი დროის რევიზიონისტებისა და დოგმატიკოსების საწინააღმდეგოდ, იძლევა ჩვენი ეპოქის ამოცანების, კომუნიზმისათვის, მშვიდობისათვის, ომის წინააღმდეგ, ნამდვილი და არა ყალბი დემოკრატიისათვის, ხალხის კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის ბრძოლის ამოცანების გადაჭრაში მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი გამოყენების ნიმუშებს.

მუშათა მოძრაობის ისტორია იმას გვასწავლის, რომ პარტიები და მოღვაწეები, რომლებიც მარქსიზმს ღალატობენ, განწირული არიან გაკოტრებისათვის. პირიქით, პარტიები, რომლებიც მარქსიზმ-ლენინიზმის ერთგულნი რჩებიან და უნარი შესწევთ შემოქმედებითად განავითარონ და გამოიყენონ იგი თანამედროვეობის უაღრესად რთულ პრობლემებში, ყოველგვარი სიძნელეებისა და დროებითი წარუმატებლობის მიუხედავად, ბოლოს და ბოლოს მაინც გაიმარჯვებენ თავიანთ მოწინააღმდეგეებზე.

რევიზიონისტული ელემენტები ამტკიცებენ, რომ თითქოს არ არსებობდეს თანამედროვე ეპოქის შესაბამისი მარქსიზმი, რომ იგი ვიღაცამ ახლად უნდა შექმნას. ასეთი განცხადებები არც თუ იშვიათად შენიღბულია „ზრუნვით“ მარქსიზმის შემდგომი განვითარებისათვის, მაგრამ სინამდვილეში ეს განცხადებები ნაკარნახევია სულ სხვა მიზნებით, რომლებიც დაშორებულია მარქსიზმს. ისტორიამ დაამტკიცა, რომ თანამედროვე ეპოქის მარქსიზმმა მოიპოვა და ახლაც აღწევს დიად, უმაგალითო ისტორიულ გამარჯვებებს, და სოციალიზმისათვის ყველა ჭეშმარიტი მებრძოლი ყველა ქვეყანაში სამართლიანად ამაყობს ამით. თანამედროვე ეპოქის მარქსიზმი არის მარქსიზმი, რომელიც შემოქმედებითად განავითარა ლენინმა, შემოწმებული და გამდიდრებული დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და სსრ კავშირში სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის გამოცდილებით, დიდი ჩინეთის რევოლუციისა და ყველა იმ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის გამოცდილებით, სადაც ხელისუფლებას სათავეში უდგას მუშათა კლასი; ეს არის მარქსიზმი, რომელსაც ყოველდღიურად ავითარებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და ყველა მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიები, რომლებიც იმპერიალიზმის წინააღმდეგ, კაპიტალის უღლის წინააღმდეგ იბრძვიან.

მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი განვითარების ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი და მასალები, რომლებითაც მოცემულია მშვიდობისათვის და სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამა. XX ყრილობის გადაწყვეტილებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობისათვის.

მარქსისტული თეორიის სულისკვეთებისათვის სრულიად უცხოა ყოველნაირი დოგმატიზმი, ის მისწრაფება, რომ პრაქტიკული დასკვნები კეთდებოდეს არა ცხოვრების ფაქტებისა და პროცესების ანალიზიდან, არამედ დაზეპირებული თეორიული დებულებებიდან, როცა მარქსიზმს — ამ მარად ცოცხალ მოძღვრებას, რომელიც განუწყვეტლივ ვითარდება, — მკვდარი, გაყინული დოგმების გროვად აქცევენ. კონსერვატიზმი, სურვილის უქონლობა ან უუნარობა დაინახონ ახალი ისტორიული პირობები, ახალი ვითარება, რეალურ ცხოვრებას მოწყვეტილი, გაყინული ფორმულებით სარგებლობა გარდუვალად იწვევს გაკოტრებას პოლიტიკაში.

(გაგრძელება მე-2 გვერდზე).

დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 220.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცი წლისთავისათვის

(გაგრძელება)

ლენინს ჩვენი პარტია „ჩვენი ეპოქის გონებად, პატიოსნებად და სინდისად" მიაჩნდა. სისხლიანი ცარიზმის წინააღმდეგ, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რეაქციისა და ომის მთელი ძალების წინააღმდეგ, კომუნიზმისათვის, ხალხის ძირეული ინტერესებისათვის, მშრომელი კაცობრიობის ინტერესებისათვის ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის ბრძოლით კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც სათავეში უდგას ხალხის მასებს, გვიჩვენა თავისი უდიდესი სიბრძნე, გამჭრიახობა და შორსმჭვრეტელობა.

იმპერიალისტურმა ბურჟუაზიამ უკანასკნელი ორმოცდაათი წლის მანძილზე ორჯერ დაატეხა თავს კაცობრიობას სისხლისმღვრელი მსოფლიო გამანადგურებელი ომები, ხოლო ამჟამად დედამიწის ხან ერთს, ხან მეორე პუნქტში განუწყვეტლივ აწარმოებს „პატარა" ომებს ხალხთა წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყოველთვის გაბედულად ამხილებდა მშვიდობის მტრების ხრიკებს, რაზმავდა ხალხებს ომის გამჩაღებელთა და ორგანიზატორთა წინააღმდეგ, ჩამოგლეჯდა ხოლმე მათ ყველა და ყოველნაირ ნიღაბს. დღესაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თავისი გაბედული, პრინციპული პოლიტიკით ამხილებს იმპერიალისტების — მშვიდობის მტრების, ზარბაზნის მეფეების, ახალმოვლენილი ალქიმიკოსების ხრიკებს, რომლებსაც დასწავლილი აქვთ, როგორ გადააქციონ ხალხთა სისხლი და ტანჯვა ოქროდ და დოლარებად და რომლებიც კაცობრიობას ემუქრებიან ყველაზე გამანადგურებელი ომით, ატომური და წყალბადის იარაღის გამოყენებით.

კომუნიზმის მტრებს, მშვიდობისა და პროგრესის მტრებს, დემოკრატიისა და თავისუფლების მტრებს მძვინვარე სიძულვილით სძულთ ჩვენი პარტია, რადგან ჩვენი პარტია ჩვენი ეპოქის დიადი სიმართლის მატარებელი და მქადაგებელია. სამაგიეროდ იგი უყვართ, მას პატივს სცემენ მსოფლიოს ხალხები, ყველა ქვეყნის მშრომელნი და ჩაგრულნი, ყველა კონტინენტის ყველა პროგრესული ადამიანი. ეს არის ჩვენი პარტიის უძლეველი ძალა.

VI. საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა და ხალხთა ბრძოლა მშვიდობისათვის

22. დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ახალი ერა დაიწყო სახელმწიფოთა და ხალხთა ურთიერთობაში. ისევე როგორც საშინაო საქმეებში, სოციალისტური სახელმწიფო თავის საგარეო პოლიტიკაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის მშრომელთა ინტერესებით, რომლებიც ემთხვევა ყველა ქვეყნის მშრომელთა ინტერესებს. საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის მთავარი მიზანია შეინარჩუნოს მშვიდობა, განავითაროს ერთიმეორის პატივისცემაზე დაფუძნებული თანასწორუფლებიანი ურთიერთობა ყველა სახელმწიფოს შორის, დაამყაროს მეგობრობა და თანამშრომლობა ყველა ხალხს შორის.

ჯერ კიდევ ისტორიულ დეკრეტში ზავის შესახებ, რომელიც ვ. ი. ლენინმა დაწერა და სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების II ყრილობამ მიიღო 1917 წლის 8 ნოემბერს, საბჭოთა სახელმწიფომ მეომარ სახელმწიფოებს მოუწოდა შეეწყვიტათ ომი, დაედოთ სამართლიანი დემოკრატიული ზავი და ყველა ხალხს მოუწოდა თავიანთ ხელში აეღოთ მშვიდობის უზრუნველყოფის საქმე. რუსეთის ხალხების უფლებათა დეკლარაციაში, რაც ერთი კვირის შემდეგ გამოქვეყნდა, ჩამოყალიბებული იყო ერთა შორის ნამდვილად მეგობრული, თანასწორუფლებიანი ურთიერთობის პროგრამა. ეს დოკუმენტები საფუძვლად დაედო საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, რომელიც, წინააღმდეგ ბურჟუაზიულ ცილისმწამებელთა მტკიცებისა, კონიუნქტურული მოსაზრებებით არასოდეს არ შეცვლილა, მუდმივად და თანმიმდევრობით იცავს მშვიდობას და იმ ხალხთა ინტერესებს, რომლებიც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან.

საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის უკვე პირველი წლები აღინიშნა წარმატებითი ბრძოლით მშვიდობის უზრუნველყოფისათვის მის საზღვრებზე და აღმოსავლეთის ხალხებთან თანასწორუფლებიანი ურთიერთობის დამყარებისათვის. გააუქმა რა არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულებანი, რომლებიც მათ თავს მოახვია მეფის რუსეთმა, საბჭოთა სახელმწიფომ საფუძველი ჩაუყარა ნამდვილ მეგობრობას აზიის, აფრიკისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის. მძლავრი ინდუსტრიული სახელმწიფო რომ გახდა, სოციალისტური სახელმწიფო არა მარტო მორალურ და პოლიტიკურ მხარდაჭერას უწევს ამ ქვეყნებს დამოუკიდებლობის მოპოვების, შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში, არამედ ამასთანავე ეხმარება მათ შექმნან დამოუკიდებლობის ეკონომიური საფუძველი — ააშენონ მრეწველობა, განავითარონ სოფლის მეურნეობა.

სოციალისტურ საზოგადოებაში არ არიან ისეთი კლასები ან საზოგადოებრივი ჯგუფები, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ ომებით, გამალებული შეიარაღებით. გამდიდრებისადმი, სხვისი ტერიტორიებისა ან ბაზრების დაპყრობისადმი მისწრაფება ორგანულად უცხოა საბჭოთა სახელმწიფოსათვის. ჯერ კიდევ 1922 წლის აპრილში დიდ სახელმწიფოთა გენუის კონფერენციაზე საბჭოთა რუსეთმა შეიტანა წინადადება შეიარაღების საყოველთაო შემცირების შესახებ. პირველად მიიღო რა მონაწილეობა 1927 წელს განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის IV სესიაში, საბჭოთა კავშირმა შეიტანა საყოველთაო, სრული და დაუყოვნებლივი განიარაღების პროექტი. ყოველ წელს, რაც წინ უძღოდა მეორე მსოფლიო ომს, სსრ კავშირი თანმიმდევრულად გამოდიოდა გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, ამხილებდა გერმანიის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის სამხედრო-სამრეწველო მონოპოლიების მისწრაფებას — შეეიარაღებინათ ჰიტლერი და დაეძრათ იგი აღმოსავლეთისაკენ, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საშუალებით მრავალგზის აღძრა განიარაღების, შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების საკითხი. უკანასკნელ წლებში, როცა გაჩნდა ატომური, ხოლო შემდეგ კიდევ უფრო გამანადგურებელი თერმოატომგულის (წყალბადის) იარაღი, სსრ კავშირმა შეიტანა წინადადება, აიკრძალოს მასობრივი მოსპობის იარაღის გამოყენება, შეწყდეს ატომგულის იარაღის გამოსაცდელი აფეთქებანი, რომლებიც წამლავენ ატმოსფეროს და საფრთხეს უქმნიან მომავალ თაობებსაც.

დიდმა ლენინმა საქვეყნოდ გამოაცხადა და დაასაბუთა, რომ შესაძლებელია სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემების მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა. სოციალისტური სახელმწიფო თავის საგარეო პოლიტიკაში განუხრელად ხელმძღვანელობს ამ ლენინური პრინციპით. როცა მოიგერია ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა თავდასხმა, სოციალისტურმა სახელმწიფომ შესთავაზა მათ ნორმალური ურთიერთობის დამყარება, ვაჭრობის გაშლა, კულტურული კავშირის გაფართოება.

საბჭოთა კავშირი მუდამ მზად იყო ეთანამშრომლა კაპიტალისტური სამყაროს იმ ძალებთან, რომლებიც დაინტერესებული არიან მშვიდობის შენარჩუნებით. მეორე მსოფლიო ომის წინ მან წამოაყენა წინადადება — შექმნილიყო კოლექტიური უშიშროების სისტემა, რათა უზრუნველეყო, რომ ჰიტლერულ გერმანიას არ გაეჩაღებინა ომი. საბჭოთა კავშირი მზად იყო სამხედრო დახმარება გაეწია იმ ქვეყნებისათვის, რომლებსაც აგრესია ემუქრებოდა. და თუ მისი მეცადინეობა წარმატებით ვერ დაგვირგვინდა, ეს იმიტომ მოხდა, რომ ჰიტლერული გერმანია შეთანხმებული იყო ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის რეაქციულ წრეებთან, რომლებიც ოცნებობდნენ ჰიტლერის ხელით ჩაეხრჩოთ პირველი სოციალისტური სახელმწიფო. მაგრამ მეტოქე მონოპოლისტური ჯგუფების ინტერესებმა გაიმარჯვეს მათ კლასობრივ ინტერესებზე, და ჰიტლერულმა გერმანიამ ამჯობინა თავდაპირველად დაერტყა საფრანგეთისა და ინგლისისათვის.

მეორე მსოფლიო ომმა, რომელიც იმპერიალისტური ომიდან ანტიფაშისტურ, განმათავისუფლებელ ომად გადაიქცა, გვიჩვენა, რომ კაპიტალისტურ და სოციალისტურ ქვეყნებს შეუძლიათ არა მარტო თანაარსებობა, არამედ ამასთანავე თანამშრომლობა სამხედრო დარგშიც კი.

მაგრამ გერმანიის ნაციონალ-სოციალიზმის, იტალიის ფაშიზმისა და იაპონიის მილიტარიზმის განადგურებამ და მოსპობამ როდი გამოიწვია ძირითადი კაპიტალისტური ქვეყნების მონოპოლისტური რეაქციული ძალების განადგურება. ეს რეაქციული ძალები გამდიდრდნენ ამ ომის შედეგად და კიდევ უფრო განიმტკიცეს პოზიციები, მათ კვლავ გააჩაღეს ბრძოლა საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შედეგად წარმოიშვნენ. ამერიკის შეერთებული შტატების მმართველმა წრეებმა, მათმა სამხედრო წრეებმა და დიპლომატიამ თანდათან შექმნეს სოციალისტური ქვეყნების ირგვლივ სამხედრო ბაზები და აგრესიული სამხედრო ბლოკები; გაჩნდნენ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკი დასავლეთში, ბაღდადისა — სამხრეთ-აღმოსავლეთში, აზიისა — აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთში. მთავარი დამკვრელი ძალის როლს კვლავ აკუთვნებენ გერმანელ მილიტარისტ-რევანშისტებს, რომლებმაც ხელთ იგდეს ძალაუფლება დასავლეთ გერმანიაში. აღორძინებენ რა გერმანიის იმპერიალიზმის საომარ მანქანას, ამერიკის, ინგლისისა და საფრანგეთის მმართველი წრეები მოქმედებენ თავიანთი ქვეყნების ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ, ეთამაშებიან ცეცხლს, ხელს უწყობენ გერმანელი მილიტარისტების ბოროტ რევანშისტულ გეგმებს, რომლებიც ახალ ომზე ოცნებობენ.

ევროპის ხალხები და პირველ რიგში დასავლეთ გერმანიის მეზობელი ქვეყნების ხალხები სულ უფრო გრძნობენ ასეთი პოლიტიკის საშიშროებას. ევროპის ქვეყნების პატრიოტული ძალები მტკიცედ უჭერენ მხარს სსრ კავშირის წინადადებას, რომ ევროპაში შეიქმნას სრულიად ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემა, რომელიც შეძლებს უზრუნველყოს მშვიდობა ევროპის კონტინენტზე და დაეხმაროს გერმანელ ხალხს გამონახოს რეალური გზა ერთიანი გერმანიის სახელმწიფოს აღსადგენად.

საბჭოთა კავშირი, ყველა სოციალისტური ქვეყანა თანმიმდევრულად იბრძოდნენ და იბრძვიან ყველა სადავო საერთაშორისო პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრისათვის. სსრ კავშირმა ეს დაამტკიცა თავისი დაუცხრომელი ბრძოლით გერმანიის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის, ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების ხელმოწერით, სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე თავისი სამხედრო ბაზების ლიკვიდაციით. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ერთად, მშვიდობის დასაცავად ხალხთა მასობრივ მოძრაობაზე დაყრდნობით, საბჭოთა კავშირმა მიაღწია იმას, რომ იმპერიალისტები იძულებული იყვნენ შეეწყვიტათ საომარი მოქმედება კორეასა და ვიეტნამში. იგი გადაჭრით გამოვიდა ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის იმპერიალისტების წინააღმდეგ, რომლებმაც ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერით მოახდინეს შეიარაღებული თავდასხმა ეგვიპტეზე.

23. განვლილ ორმოც წლიწადში საბჭოთა კავშირი საერთაშორისო პოლიტიკის გადამწყვეტ ფაქტორად გადაიქცა. საბჭოთა კავშირის საერთაშორისო პოზიციები მტკიცე და ურყევია არა მარტო იმიტომ, რომ მას მოეპოვება დიდი ეკონომიური და სამხედრო ძალა, არამედ იმიტომაც, რომ საბჭოთა პოზიცია საერთაშორისო საქმეებში ყოველთვის ემთხვეოდა ყველა ქვეყნის ხალხთა ფართო მასების პოზიციას. მაგალითად, საბჭოთა მოთხოვნა ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ წამოყენებულ იქნა ხალხთა მასების სურვილით და ხალხებმა ენერგიულად დაუჭირეს მხარი ამ მოთხოვნას. სტოკჰოლმის მოწოდებამ ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ, რომელსაც ხელი მოაწერა ბევრმა ასეულმა მილიონმა კაცმა, ცხადყო, რამდენად სწორი და დროული იყო ეს საბჭოთა წინადადება. გაითვალისწინა რა ხალხთა მასების ნება, საბჭოთა კავშირმა შეიტანა წინადადება — აიკრძალოს ატომური და წყალბადის იარაღი და დაუყოვნებლივ შეწყდეს მისი გამოცდა.

წყალბადის იარაღის გამოცდის აკრძალვისათვის მოძრაობამ, რომელმაც ახლა მოიცვა ყველა ქვეყანა, მოსახლეობის ყველა ფენა, მათ შორის გამოჩენილი მეცნიერები, დაადასტურა, რომ სწორი და დროულია ეს საბჭოთა ინიციატივა.

მშვიდობისათვის, სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისა და ეკონომიური შეჯიბრებისათვის საბჭოთა კავშირის ბრძოლა არ შეიძლება არ ემთხვეოდეს და კიდევაც ემთხვევა ხალხთა მოძრაობას მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, რადგან ყველა ქვეყნის მშრომელებს სურთ მშვიდობა, სურთ შეწყდეს გამალებული შეიარაღება, რაც, ბუნებრივია, შეამსუბუქებდა სამხედრო გადასახადების ტვირთს და გააუმჯობესებდა ხალხის კეთილდღეობას. მტკიცე მშვიდობა შეესაბამება კაცობრიობის უდიდესი უმრავლესობის სასიცოცხლო ინტერესებს, მიუხედავად სოციალური წყობილების, პოლიტიკური რწმენისა და სარწმუნოების არსებული განსხვავებისა.

ხალხთა ფართო მასების მისწრაფებამ მშვიდობისადმი ჩვენს დროში გამოიწვია ის, რომ შეიქმნა ვრცელი „ზონა მშვიდობისა". ამ ზონაში შედიან ევროპისა და აზიის როგორც სოციალისტური, ისე არასოციალისტური მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოები, რომელთა მოსახლეობა დაახლოებით ერთნახევარ მილიარდ კაცს შეადგენს. უკლებლივ ყველა ქვეყანაში ფართოვდება მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა, რომელიც თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი და პროგრესული მოძრაობაა.

ჩვენს დროში ომი ფატალური გარდუვალობა როდია. იმპერიალისტური რეაქციის ბნელ ძალებს, კაპიტალისტურ მონოპოლიებს, რომლებიც დაინტერესებული არიან გამალებული შეიარაღებითა და აგრესიული ომებით, უპირისპირდებიან სახელმწიფონი და ხალხები, რომლებიც აღფრთოვანებული არიან კეთილშობილური ამოცანით — ალაგმონ სამხედრო ავანტიურების ორგანიზატორები, იხსნან კაცობრიობა ახალი აურაცხელი მსხვერპლისა და ნგრევისაგან. მსოფლიო სოციალისტური სისტემის განმტკიცება, სოციალისტური ქვეყნების თანმიმდევრული მშვიდობიანი პოლიტიკა, მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის ყველგან ზრდა ხელ-ფეხს უბოჭავს აგრესორებს, აძნელებს ახალი ომის დაწყებას.

მაგრამ თუ იმპერიალიზმის [illegible] გაბედავენ დაიწყონ ახალი მსოფლიო ომი, ისინი წააწყდებიან ხალხთა ისეთ აღშფოთებასა და წინააღმდეგობას, რომელიც გამოიწვევს მთელი კაპიტალისტური სისტემის საბოლოო კრახს.

VII. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გავლენა კაცობრიობის ისტორიულ ბედზე

24. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია უდიდესი გადატრიალება იყო არა მარტო სსრ კავშირის ხალხთა ცხოვრებაში. მან გადამწყვეტი გავლენა მოახდინა მსოფლიო ისტორიის მთელ მსვლელობაზე, მთელი კაცობრიობის ისტორიულ ბედზე.

ოქტომბრის რევოლუცია მობრუნების პუნქტი გახდა მსოფლიო განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებაში, მან ყველა ქვეყნის მშრომელებს შემატა ახალი ძალები და საბოლოო გამარჯვების რწმენა, გამოიწვია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უმაგალითო აღმავლობა კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში. ოქტომბრის რევოლუცია ყველა ხალხმა მიიჩნია შთამაგონებელ მაგალითად, ხოლო ამ რევოლუციით შექმნილი წყობილება — იმ მომავლის პირველ სახედ, რომელსაც ყველა ქვეყნის მშრომელები ესწრაფვიან.

ჩვენს დროში ოქტომბრის რევოლუციის მიერ გაკვალულ გზას დაადგნენ დიდი ჩინელი ხალხი, ევროპისა და აზიის მთელი რიგი ქვეყნების მშრომელები. ჩინეთში და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნებში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება მსოფლიო ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა 1917 წლის ოქტომბრის შემდეგ. თუ მეორე მსოფლიო ომამდე სოციალისტური სისტემის წილად მოდიოდა დედამიწის ტერიტორიის 17 პროცენტი, მოსახლეობის დაახლოებით 9 პროცენტი და მსოფლიო მრეწველობის პროდუქციის დაახლოებით მეათედი, ამჟამად სოციალისტურ ქვეყნებს უჭირავთ ჩვენი პლანეტის ტერიტორიის უკვე 26 პროცენტი, ამ ტერიტორიაზე ცხოვრობს დედამიწის მოსახლეობის დაახლოებით 35 პროცენტი, აქ წარმოებს მსოფლიო მრეწველობის პროდუქციის დაახლოებით მესამედი.

იმ გარემოებამ, რომ მსოფლიო კაპიტალიზმის სისტემას ჩამოსცილდნენ ქვეყნები, რომლებმაც საბჭოთა კავშირთან ერთად ერთიანი სოციალისტური ბანაკი შექმნეს, ძირეულად შეცვალა სოციალიზმისა და კაპიტალიზმის ძალთა თანაფარდობა სოციალიზმის სასარგებლოდ. სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ძლიერებისა და ერთიანობის ზრდა კიდევ უფრო განამტკიცებს სოციალიზმისა და პროგრესული ძალების პოზიციებს მთელ მსოფლიოში.

სოციალიზმის ბანაკის ძალაა ამ ბანაკში შემავალი ქვეყნების ინტერესთა ერთობა, მათი იდეოლოგიისა და საბოლოო მიზნის ერთიანობა. სწორედ სოციალისტური ქვეყნების ხალხთა, მთავრობათა და მარქსისტულ-ლენინურ პარტიათა შორის ამ ერთობის საფუძველზე დამყარდა ურთიერთობა, რომელსაც ახასიათებს შეურყეველი ძმური კავშირი, გამოცდილების ურთიერთ გაზიარება, მჭიდრო ეკონომიური თანამშრომლობა და მეგობრული ურთიერთდახმარება. სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ასეთი ურთიერთობა ისევე კანონზომიერად გამომდინარეობს სოციალიზმის სოციალურ-ეკონომიური ბუნებიდან, როგორც კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის კონკურენციისა და მტრობის ურთიერთობა გამომდინარეობს კაპიტალიზმის ბუნებიდან. სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ურღვევ თანამეგობრობაში ხორცშესხმულია პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპი. ვერც ერთი სოციალისტური ქვეყანა ვერ გაუდგება განზე ამ ძმურ თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებას. ეს ზიანს მიაყენებდა მის საკუთარ ინტერესებს, რადგან სოციალისტური სახელმწიფოების მჭიდრო ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთდახმარება ხელს უწყობს თვითეული ცალკე ქვეყნის უსწრაფეს განვითარებას და უზრუნველყოფს მის უშიშროებას.

როგორც პირველი ქვეყანა გამარჯვებული სოციალიზმისა და ყველაზე ძლიერი ქვეყანა სოციალისტური ქვეყნების ოჯახში, საბჭოთა კავშირი, რომელსაც უმდიდრესი გამოცდილება აქვს, მუდამ უწევს დახმარებასა და მხარდაჭერას სხვა სოციალისტურ ქვეყნებს, ასრულებს თავის ინტერნაციონალურ მოვალეობას. ამ ქვეყნების ხალხებს საბჭოთა კავშირი სოციალიზმის ბურჯად მიაჩნიათ, ეკიდებიან მას ძმური მადლობისა და მეგობრობის გრძნობით, რასაც ვერ შეასუსტებენ სოციალიზმის მტრები.

25. ოქტომბრის რევოლუციის გამოცდილების შემოქმედებითი ათვისება სოციალიზმის გზით წინსვლას უადვილებს ყველა ქვეყანას, რომლებიც კაპიტალისტურ სისტემას ჩამოსცილდნენ. დიდი ჩინელი ხალხის ბელადი მაო ძე-დუნი ამბობს: „სწორედ იმიტომ, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გზას ადგას, ჩვენმა ჩინელმა ხალხმა მოიპოვა ახლანდელი გამარჯვებანი და წარმატებანი. ჩინელ ხალხს ჩინეთის რევოლუცია ყოველთვის მიაჩნდა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის განგრძობად და ამას უდიდეს ღირსებად თვლის". ოქტომბრის რევოლუციის ორმოცი წლის გამოცდილების მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა სწორედ ის არის, რომ მან გაკვალა ფართო გზა სოციალიზმისაკენ, გამოავლინა ის საერთო ნიშნები და კანონზომიერებანი, რომელთა შეფარდებაც შესაძლებელია სოციალიზმისაკენ მიმავალი ყველა ქვეყნისათვის.

1920 წელს ლენინი აღნიშნავდა: „...ჩვენ უკვე თვალწინ გვაქვს ძალიან მნიშვნელოვანი საერთაშორისო გამოცდილება, რომელიც სავსებით გარკვეულად მოწმობს, რომ ჩვენი რევოლუციის ზოგიერთ ძირითად თვისებას არა ადგილობრივი, არა ეროვნულ-განსაკუთრებული, არა მარტო რუსული, არამედ საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს" (თხზ., ტ. 31, გვ. 5).

როგორც მოწმობს სოციალისტური ქვეყნების განვითარების ისტორიული გამოცდილება, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და ახალი, სოციალისტური საზოგადოების შექმნის საერთო ნიშნები და კანონზომიერებებია: მუშათა კლასის მიერ პოლიტიკური ხელისუფლების მოპოვება, პროლეტარიატის დიქტატურის — მშრომელებისათვის დემოკრატიის დამყარება მარქსისტულ-ლენინური პარტიის ხელმძღვანელი როლის პირობებში; მუშათა კლასის კავშირი გლეხობის ძირითად მასებთან და მშრომელთა ყველა სხვა ფენასთან; ეროვნული ჩაგვრის ლიკვიდაცია და თანასწორუფლებიანობისა და ძმური მეგობრობის დამყარება ხალხთა შორის; კაპიტალისტური საკუთრების ლიკვიდაცია და წარმოების ძირითად საშუალებათა სოციალისტური, საზოგადოებრივი საკუთრების დამყარება; ინდუსტრიის, მთლიანად ეკონომიკის გეგმაზომიერი განვითარება, რაც ემსახურება სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენებას, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებას; სოფლის მეურნეობის თანდათანობითი სოციალისტური გარდაქმნა; სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცება და განვითარება და სოციალისტური დემოკრატიის განვითარება, სოციალიზმის მონაპოვართა დაცვა გარეშე და შინაური კლასობრივი მტრების ხელყოფისაგან; მოცემული ქვეყნის მუშათა კლასის სოლიდარობა სხვა ქვეყნების მუშათა კლასთან, რომელიც იბრძვის სოციალიზმისა და კომუნიზმის იდეათა გამარჯვებისათვის, — პროლეტარული ინტერნაციონალიზმი.

ოქტომბრის რევოლუციამ ამხილა ყოველგვარი რეფორმისტული და ოპორტუნისტული თეორიები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ სოციალიზმის აშენება თითქოს შეიძლებოდეს ისე, რომ მუშათა კლასი პოლიტიკურ ხელმძღვანელობას არ უწევდეს საზოგადოებას, შეიძლებოდეს მუშათა კლასის დიქტატურის დაუმყარებლად, სოციალიზმში კაპიტალიზმის თანდათანობითი შეზრდის გზით.

საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნის მთავარი პირობა, როგორც ისტორიის გამოცდილება გვიჩვენებს, არის სოციალისტური რევოლუცია და მუშათა კლასის პოლიტიკური ხელისუფლების, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება ამა თუ იმ ფორმით. რაც შეეხება მუშათა კლასის მიერ ძალაუფლების მოპოვების გზებს, სოციალისტურ გარდაქმნათა ხერხებსა და ტემპებს, აგრეთვე პროლეტარიატის დიქტატურის ფორმებს, ამას არა მარტო შეიძლება ექნეს, არამედ კიდევაც ექნება თავისი თავისებურებანი სხვადასხვა ქვეყნის განვითარების კონკრეტული პირობების მიხედვით.

მარქსიზმ-ლენინიზმი ხელმძღვანელობს იმით, რომ თვითეული ქვეყნის გზის თავისებურებანი არ გამორიცხავს სოციალისტური რევოლუციის, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ზოგიერთი ძირეული ნიშნისა და კანონზომიერების ერთობას. მარქსიზმ-ლენინიზმისათვის სრულიად უცხოა იმათი შეხედულებანი, ვინც, ხაზს უსვამს რა სოციალიზმისაკენ მიმავალი თვითეული ქვეყნის ეროვნულ თავისებურებებს, ივიწყებს სოციალისტური რევოლუციის საერთო ძირითად და ძირეულ პრინციპებს.

26. მსოფლიო-ისტორიული მობრუნება კაცობრიობის განვითარებასა და ბედში, რასაც დასაბამი მისცა 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამ, მთელი ძალით იგრძნობა დედამიწის იმ ნაწილშიც, რომელშიც ჯერ კიდევ ბატონობს კაპიტალიზმი.

მსოფლიო სოციალისტური სისტემის არსებობის, კაპიტალიზმის წინაშე სოციალიზმის უპირატესობის თვით ფაქტი ბევრად ზრდის კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარიატის ძალებს კაპიტალის წინააღმდეგ მის კლასობრივ ბრძოლაში. სოციალისტური რევოლუციის წინაშე შიშის გამო ბურჟუაზია, რევოლუციური მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ რეპრესიების გაძლიერებასთან ერთად, ზოგჯერ ერთგვარ დათმობას აკეთებს მუშების მოთხოვნებისადმი ხელფასის გადიდების, სამუშაო დროის შემცირების შესახებ და სხვ.

იზრდება მუშათა კლასის ორგანიზებულობა და პოლიტიკური შეგნება. ისეთ დიდ კაპიტალისტურ ქვეყნებში, როგორიც არიან საფრანგეთი და იტალია, ორგანიზებული მუშების უმრავლესობა მხარს უჭერს კომუნისტურ პარტიებს. თუ 1917 წელს, ოქტომბრის რევოლუციის წინ, კომუნისტების რიცხვი რუსეთში არ აღემატებოდა მეოთხედ მილიონს, ხოლო სხვა ქვეყნებში იყვნენ კომუნისტებთან ახლოს მდგომი მხოლოდ მცირერიცხოვანი ჯგუფები, ახლა კომუნისტური პარტიების რიგებში გაერთიანებულია 33 მილიონზე მეტი კაცი. ეს მოწმობს კომუნისტური იდეების გავლენის ზრდის გარკვეულ კანონზომიერებას, კომუნისტური მოძრაობის განვითარებას.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ბურჟუაზიულ იდეოლოგიას, ოპორტუნიზმს მუშათა მოძრაობაში, სოციალშოვინიზმსა და რეაქციულ ნაციონალიზმს. მარქსიზმ-ლენინიზმის დროშის ქვეშ დადგა მრავალი მილიონი მშრომელი.

კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა გამწვავება, რეაქციული ბურჟუაზიის პოზიციების შესუსტება აღრმავებს რეფორმისტული პარტიების კრიზისს, ასუსტებს სოციალ-დემოკრატიის მემარჯვენე ლიდერთა გავლენას მშრომელთა შორის. ძლიერდება მუშათა კლასის მისწრაფება ერთიანობისადმი კაპიტალის ბატონობის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში. ეს ქმნის პირობებს, რომ მუშათა მოძრაობაში აღმოიფხვრას გათიშვა, რადგან უამისოდ შეუძლებელია ძალაუფლება მოიპოვოს მუშათა კლასმა.

ახლა, როცა არსებობს სოციალისტური ქვეყნების მძლავრი ბანაკი, როცა იმპერიალიზმის კოლონიური სისტემა დაშლას განიცდის, როცა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიები სულ უფრო კოტრდებიან, მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში ხელსაყრელი პირობები შეიქმნა იმისათვის, რომ მუშათა კლასის გარშემო გაერთიანდნენ გლეხობა, ხალხის ფართო მასები. რეაქციისა და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, მთელ რიგ ქვეყნებში დემოკრატიული ძალების მოქმედების ერთიანობის განხორციელების გამოცდილება გვიჩვენებს იმ უდიდეს შესაძლებლობებს, რომლებიც მოეპოვება ჩვენს დროში ფართო დემოკრატიულ მოძრაობას, რომელსაც მუშათა კლასი მეთაურობს.

მაგრამ იმპერიალიზმი, მისი იდეოლოგები, პოლიტიკოსები და ჟურნალისტები, მთელი მისი პროპაგანდისტული აპარატი კი არ წყვეტენ, არამედ, პირიქით, აძლიერებენ თავიანთ იერიშებს მარქსიზმ-ლენინიზმის წინააღმდეგ, სოციალიზმის, როგორც მოძღვრებისა და საზოგადოებრივ-ეკონომიური სისტემის წინააღმდეგ. კომუნისტური მოძრაობის წინააღმდეგ რეაქციის ძალების იდეოლოგიური დივერსიები ამ უკანასკნელ ხანს გამოიხატა იმით, რომ ავრცელებენ ეგრეთწოდებული „ეროვნული კომუნიზმის" უბადრუკ გახრწნილ იდეებს, ავრცელებენ ყოველგვარ რევიზიონისტულ გამოხდომებს კომუნისტური პარტიების შიგნით.

რევიზიონიზმს როგორც წარსულში, ისე ამჟამად საერთაშორისო ხასიათი აქვს. თავისი სოციალური არსით იგი მუშათა კლასის გარკვეულ ნაწილზე ბურჟუაზიის ზეგავლენის შედეგია, ხოლო თანამედროვე პირობებში აგრეთვე იმის შედეგია, რომ მემარჯვენე სოციალისტების ბურჟუაზიული, რეფორმისტული იდეოლოგია გავლენას ახდენს კომუნისტების მერყევ ნაწილზე.

რა მთავარი მომენტები ახასიათებს თანამედროვე რევიზიონიზმს?

(დასასრული მე 3 გვერდზე)

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცი წლისთავისათვის

(დასასრული)

ეს, უწინარეს ყოვლისა, ის არის, რომ მეტად თუ ნაკლებად უარყოფენ მარქსიზმის საფუძვლებს, წარმოების საშუალებათა კაპიტალისტური საკუთრების ლიკვიდაციას და საზოგადოებრივი საკუთრებით მის შეცვლას, პროლეტარიატის დიქტატურის იდეას, იმ მოძღვრებას, რომ მუშათა კლასს და მის მარქსისტულ-ლენინურ პარტიას ხელმძღვანელი როლი ეკუთვნით სოციალისტურ რევოლუციაში და სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში, რომ დაეშვენ ბურჟუაზიული დემოკრატიზმის პოზიციებზე. იმრე ნადმა უნგრეთში განსაკუთრებით მკაფიოდ გამოავლინა რევიზიონიზმის ეს მხარე და სავსებით უღალატა სოციალიზმის საქმეს.

თანამედროვე რევიზიონიზმისათვის დამახასიათებელია პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისაგან გადახვევა, სოციალისტური ბანაკის ერთიანობისათვის ძირის გამოთხრის პოზიციებზე, ნაციონალისტურ პოზიციებზე გადასვლა. რევიზიონიზმი უარყოფს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ზოგიერთ ძირითად, საერთო ნიშნებსა და კანონზომიერებებს. „ეროვნული კომუნიზმის" ლოზუნგს, რაც დალესმა და იმპერიალიზმის სხვა იდეოლოგებმა წამოაყენეს, მიზნად აქვს გათიშოს სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობა, დაუპირისპიროს ისინი ერთიმეორეს და განსაკუთრებით საბჭოთა კავშირს. საერთაშორისო ბურჟუაზიის ამ ზრახვის მიზანი ნათელია: მას სურს დაასუსტოს სოციალიზმის მსოფლიო სისტემა, გააძლიეროს კაპიტალიზმის საერთაშორისო პოზიციები.

კომუნისტური და მუშათა პარტიები ბრძოლას აწარმოებენ თანამედროვე რევიზიონიზმის მავნე გავლენის წინააღმდეგ და ღირსეულ წინააღმდეგობას უწევენ მას.

27. საბჭოთა კავშირის მაგალითის მიზიდულობის ძალამ, საბჭოთა კავშირისა, რომელმაც საბოლოოდ მოსპო ეროვნული უთანასწორობა, საბჭოთა აღმოსავლეთის რესპუბლიკების აყვავებამ კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხები აღაფრთოვანა განთავისუფლებისათვის საბრძოლველად. დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დასაბამი მისცა იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის ღრმა კრიზისს, დასაბამი მისცა აზიისა და აფრიკის ხალხთა განთავისუფლების, აღმოსავლეთის ქვეყნებში სუვერენულ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შექმნისა და მათი ეროვნული აღორძინების ისტორიულ ხანას.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რაც ფაშისტ აგრესორთა განადგურებითა და საერთაშორისო რეაქციის ძალების დასუსტებით დამთავრდა, კოლონიური სისტემის კრიზისი კიდევ უფრო გამწვავდა, და იმპერიალისტური ჩაგვრის ამ სამარცხვინო სისტემამ დაშლა იწყო ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გაზრდილი შეტევის გამო. კოლონიური სისტემის დაშლის უაღრესად მკაფიო გამოვლინება იყო დიდი ჩინელი ხალხის გამარჯვება იმპერიალისტური და შინაური ფეოდალური რეაქციის ძალებზე, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნა. კოლონიური დამოკიდებული მდგომარეობისაგან ერთ მილიარდ სამას მილიონზე მეტი კაცის, ესე იგი დედამიწის მოსახლეობის ნახევრის განთავისუფლება, ისეთი დიდი დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნა, როგორიც არიან ჩინეთი და ინდოეთი, როგორიც არიან ინდონეზია, ბირმა, ეგვიპტე, სირია, მოასწავებს იმას, რომ დადგა ლენინის მიერ განჭვრეტილი ახალი პერიოდი მსოფლიო ისტორიისა, პერიოდი აღმოსავლეთის ხალხთა აღორძინებისა, რომლებიც დამოუკიდებლად განაგებენ თავიანთ საკუთარ ბედს და აქტიურად მონაწილეობენ მთელი კაცობრიობის ბედის გადაწყვეტაში.

იმპერიალისტური სახელმწიფოების ის ცდები, რომ შეაკავონ კოლონიური სისტემის დაშლა სხვადასხვაგვარი საშუალებით — აზიისა და აფრიკის თავისუფლებისმოყვარე ხალხების წინააღმდეგ კოლონიური ომების გაჩაღებით დაწყებული და იმით დამთავრებული, რომ სუვერენულ სახელმწიფოთა საქმეებში ჩაერიონ ეკონომიური და სამხედრო „დახმარების" ალმით, — ვერ შეცვლიან ისტორიის მსვლელობას, ვერ აღკვეთენ კოლონიური წესების გარდუვალ დანგრევას. წარმატებითი წინააღმდეგობა იმპერიალისტი ინტერვენტებისადმი კორეაში, ინდოჩინეთში, ინდონეზიაში, ინგლის-საფრანგეთის კოლონიური ავანტიურის ჩაშლა ეგვიპტეში მოწმობს, რომ იმპერიალიზმის პოზიციები განუწყვეტლივ სუსტდება.

არსებობა საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოებისა, რომლებიც მტკიცედ იცავენ ერთა თვითგამორკვევის ლენინურ პრინციპს, დიდად აადვილებს ყველა ჩაგრული ხალხის ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, კოლონიალიზმის წინააღმდეგ. დაადგნენ რა დამოუკიდებელი განვითარების გზას, გუშინდელი კოლონიებისა და ნახევრადკოლონიების ხალხებს შესაძლებლობა აქვთ დაეყრდნონ საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების უანგარო მხარდაჭერას თავიანთი ეკონომიური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, იმპერიალისტურ შეთქმულებათა და ავანტიურათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

* * *

წლითიწლობით იზრდება საერთაშორისო მნიშვნელობა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა, რომელმაც ახალი ნათელი ჰორიზონტები გადაუშალა კაცობრიობას, მაღლა ასწია სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლის დროშა, კომუნიზმის დროშა.

ახლა არა მარტო თეორიულად დასტურდება, არამედ თვით ცხოვრებაც უდავოდ ადასტურებს, რომ სოციალისტური რევოლუცია მარტოოდენ „რუსული ექსპერიმენტი" როდია, როგორც ამას ბურჟუაზიული იდეოლოგები ამტკიცებდნენ. სრულდება ლენინის წინასწარმეტყველური სიტყვები: „ჩვენი საბჭოების სოციალისტური რესპუბლიკა მტკიცედ იდგება, როგორც საერთაშორისო სოციალიზმის ჩირაღდანი და როგორც მაგალითი მთელი მშრომელი მასების წინაშე" (თხზ., ტ. 26, გვ. 553).

განვლილი ორმოცი წლის მოვლენები მოწმობენ, რომ მხოლოდ საზოგადოების სოციალისტურ გარდაქმნას შეუძლია გამოიყვანოს კაცობრიობა იმ ჩიხიდან, რომელშიც იგი შეიყვანა კაპიტალიზმმა, გადაჭრას მომწიფებული სოციალური პრობლემები, რომლებიც კაცობრიობის წინაშე დგას თანამედროვე ეპოქაში. მხოლოდ სოციალიზმს შეუძლია შეუზღუდველი გზა მისცეს საწარმოო ძალების განვითარებას, ბოლო მოუღოს ეკონომიურ კრიზისებს, უმუშევრობას, მშრომელთა სიღატაკეს, ახალი, ყველაზე გამანადგურებელი ომების საფრთხეს, უზრუნველყოს ხალხებისათვის მტკიცე მშვიდობა. მხოლოდ სოციალიზმი და კომუნიზმი უსახავენ კაცობრიობას მეცნიერებისა და ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების უსაზღვრო განვითარების და ადამიანის პიროვნების ყოველმხრივ განვითარების პერსპექტივებს.

XX საუკუნის შუახანებისათვის სრული სიცხადით გამოვლინდა სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემების განვითარების პერსპექტივები. კაპიტალისტურმა სისტემამ, რომელიც ოდესღაც პროგრესული იყო წინა სისტემებთან შედარებით, დიდი ხანია უკვე განვლო თავისი აყვავების ხანა. თანამედროვე კაპიტალიზმი მომაკვდავი, ლპობადი კაპიტალიზმია; იგი განიცდის თავისი მზის ჩასვლას და შეუკავებლად მიდის გარდუვალი აღსასრულისაკენ. ამის საწინააღმდეგოდ ახალგაზრდა, სიცოცხლის ძალებით აღსავსე სოციალისტური სისტემა განუხრელი აღმავლობისა და აყვავების გზას ადგას. ყოველ წელიწადს, ყოველ ხუთწლედში ახალი, სოციალისტური სამყაროს მძლავრი ნაბიჯი კიდევ უფრო მტკიცე და დარწმუნებული იქნება.

ემზადებიან რა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის დღესასწაულისათვის, მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და საბჭოთა ინტელიგენცია კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმებიან თავიანთი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო და ღირსშესანიშნავ წლისთავს შეხვდებიან ახალი მიღწევებით სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე, ახალი გამარჯვებებით კომუნიზმისაკენ საბჭოთა საზოგადოების დიდებული წინსვლის გზაზე.

ნაკისრი ვალდებულება განაღდებულია

წითელწყარო. (საკ. კორ.). რაიონის მშრომელებმა პირნათლად განაღდეს საოქტომბროდ ნაკისრი ვალდებულება პირუტყვისათვის საკვების დამზადების დარგში — დაამზადეს 40.000 ტონა სილოსი. სილოსად ჩადებულია სიმინდის საუკეთესო მასა. წელს თვითეულ საფურაჟე ძროხას მიეცემა 8-10 ტონა საუკეთესო ხარისხის სილოსი.

მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა ნაკისრ ვალდებულებას გადააჭარბეს. დაბა წითელწყაროს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე დ. ჯანიკაშვილი) 2.400 ტონის ნაცვლად დამზადებულია 2.600 ტონა სილოსი. სილოსის მაღალხარისხოვნად ჩადებაში თავი ისახელა ამ კოლმეურნეობის საკვებმომპოვების ბრიგადამ, რომელსაც დ. ლაპიაშვილი ხელმძღვანელობს. კარგად მუშაობდნენ კოლმეურნეები ი. ფილიპოვი, ბ. ნატროშვილი, ავტომძღოლი ნ. ხაჩატურიანი. საკვებმომპოვების ბრიგადამ დაამზადა აგრეთვე 5.000 ტონა ნამჯა, 1.300 ტონა თივა და 150 ტონა ქეჩეჩი. ერთ სულ ძროხაზე 12 ტონა სილოსი დაამზადეს სოფლების ჯაფარიძის, ზემო ქედის სტალინის სახელობის, არხილოსკალოს და სხვა კოლმეურნეობებმა.

დავალებას გადააჭარბეს

მახარაძე. (საკ. კორ.). სოფელ მერიის კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე შ. ბაბილოძე) უკვე შეასრულა წველადობის წლიური დავალება. აქ თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიღებულია 1.160 ლიტრი რძე გეგმით გათვალისწინებული 1.050 ლიტრის ნაცვლად.

კოლმეურნეობაში ენერგიული მუშაობა გააჩაღეს პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად. დამზადებულია 2.500 ცენტნერი თივა. გეგმით გათვალისწინებული 300 ტონის ნაცვლად დასილოსებულია 320 ტონა საკვები.

საკვების დამზადებაზე ენერგიულად მუშაობენ საოქტომბრო შეჯიბრების მონაწილე კოლმეურნეები გ. დანელია, კ. ბარამიძე, ლ. ღლონტი და ა. კეჟაყმაძე, რომლებიც ყველა პირობას ქმნიან პირუტყვის საუკეთესოდ გამოზამთრებისათვის.

ერთი პირველთაგანი

ლანჩხუთი. (საკ. კორ.). სოფელ ნიგოითის კოლმეურნეობის წევრები პირნათლად ასრულებენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებას. მათ უკვე ჩააბარეს მრეწველობას 67.000 კილოგრამზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი გეგმით გათვალისწინებული 66.000 კილოგრამის ნაცვლად.

ჩაის კრეფაზე საუკეთესოდ იმუშავეს კოლმეურნეობის იმ ბრიგადებმა, რომლებსაც ს. გოგუაძე და შ. ჯიბლაძე ხელმძღვანელობენ. ცალკეული მკრეფავებიდან აღსანიშნავი არიან ც. მგელაძე, ა. ფირცხალაიშვილი, პ. წულაძე.

ნიგოითელი კოლმეურნეები, რომლებიც ჩაბმული არიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, გეგმის გადამეტებით კრეფენ 15 ათას კილოგრამ ჩაის ფოთოლს.

მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის წლიური გეგმის ვადამდე შესრულება საბრძოლო ამოცანაა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავძლიოთ ჩამორჩენა

მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის გეგმის შესრულება თვითეული სასოფლო რაიონის პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, მთელი საზოგადოებრიობის საქმეა.

ამ მხრივ სერიოზული ნაკლოვანებებია ვანის რაიონში, სადაც ჩამორჩა ხორცის, რძისა და კვერცხის დამზადება და შესყიდვა. მაგალითად, 10 სექტემბრისათვის რაიონში დამზადებული და შესყიდული იყო 2.179,4 ცენტნერი ხორცი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5.004 ცენტნერისა. კვერცხის დამზადებისა და შესყიდვის რაიონული გეგმა შესრულებულია 47 პროცენტით.

განსაკუთრებით დიდი ჩამორჩენაა რძის დამზადებასა და შესყიდვაში. 10 სექტემბრისათვის რაიონში რძის დამზადებისა და შესყიდვის წლიური გეგმა შესრულებული იყო 47,7 პროცენტით.

რძის დამზადებასა და შესყიდვაში სამარცხვინოდ ჩამორჩნენ ქვედა ვანის (თავმჯდომარე ა. ხუნდაძე), სულორის (თავმჯდომარე ა. ტყეშელაშვილი), ტობანიერის (თავმჯდომარე ვ. მაჭარაძე) და ყუმურის (თავმჯდომარე მ. ჯულაყიძე) სასოფლო საბჭოები. ქვედა ვანის სასოფლო საბჭოში ინდივიდუალური ჩამბარებლებისაგან რძის დამზადების წლიური გეგმა 10 სექტემბრისათვის 42 პროცენტით იყო შესრულებული, ხოლო შესყიდვისა — 16,1 პროცენტით. ზემოთ დასახელებულ სხვა სასოფლო საბჭოებში კი რძის შესყიდვის გეგმა მხოლოდ 7-10 პროცენტით შეასრულეს.

რძის დამზადებისა და შესყიდვის საქმეში უპასუხისმგებლობას იჩენენ ზოგიერთ კოლმეურნეობაშიც. მაგალითად, სოფლების სულორის, ძულუხის და გადიდის კოლმეურნეობებს წელს არც ერთი კილოგრამი რძე არ მიუყიდიათ სახელმწიფოსათვის.

მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებასა და შესყიდვაში ჩამორჩენა უმთავრესად იმით არის გამოწვეული, რომ კოლმეურნეობათა გამგეობები და მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოები ნაკლებ პასუხისმგებლობას იჩენენ ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანის დროულად შესრულებისათვის, არ ეწევიან მშრომელთა შორის ახსნა-განმარტებით მუშაობას.

დამზადებათა გეგმების დროულად შესრულებისათვის მშრომელთა ფართო მასების დარაზმვის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს სასოფლო საბჭოების ორგანიზატორული მუშაობის გაძლიერებას. სამწუხაროდ, ზოგან ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობის გაჩაღების ნაცვლად აღმასკომების სხდომებზე საკითხების ფორმალურად განხილვით კმაყოფილდებიან და შემდეგ მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის არ ზრუნავენ. ასე მოხდა, მაგალითად, ქვედა ვანის სასოფლო საბჭოში. აქ მიმდინარე წლის 30 მაისს „იმსჯელეს" მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გეგმის შესრულების შესახებ და ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს: „...ივნისის თვე გამოცხადდეს დამკვრელ თვედ მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გეგმის შესრულების საქმეში (!)".

მაგრამ ივნისის „დამკვრელ თვედ" გამოცხადებას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. საქმე წინ არ წასულა.

რაიონში მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებასა და შესყიდვაში ასეთი ჩამორჩენა არ იქნებოდა, კოლმეურნეობათა გამგეობები, სასოფლო საბჭოები, მტს-ი და დამამზადებელი ორგანიზაციები თანმიმდევრულად რომ მუშაობდნენ ამ დარგში. ამას ადასტურებს შემდეგი ფაქტი: საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის შესახებ საკითხის ამას წინათ განხილვის შემდეგ პარტიის ვანის რაიკომმა გააძლიერა მოთხოვნილობა, რის შედეგადაც რძის დამზადებაში გარდატეხა მოხდა. მაგალითად, მარტო სექტემბრის პირველ დეკადაში დამზადდა 200 ცენტნერი რძე, ანუ თითქმის იმდენი, რამდენიც მთელ აგვისტოში. მაშასადამე გეგმების შესრულება შეიძლება. ახლა მთავარია ორგანიზატორული მუშაობის გაძლიერება. ეს კი ვანის პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების, ყოველი მშრომელის სისხლხორცეული საქმეა.

ვ. კოპალეიშვილი,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

ჩაის ფოთლის დამზადება

(„საქართველოს ჩაის" ტრესტის 1957 წლის 16 სექტემბრის ცნობებით)

რაიონები	გეგმის შესრულება %-ობით წლიურისა	სექტემბრისა წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით
ბათუმის	99,0	89,9
ქობულეთის	86,9	34,4
ქედის	91,0	26,5
სულ აჭარაში	90,0	42,7
გალის	75,2	17,5
ოჩამჩირის	80,2	10,7
გულრიფშის	81,3	2,7
სოხუმის	84,7	11,9
გუდაუთის	64,0	1,3
სულ აფხაზეთში	76,0	12,9
მახარაძის	82,2	21,5
ჩოხატაურის	76,5	7,4
ლანჩხუთის	84,9	22,5
სამტრედიის	72,5	11,2
წულუკიძის	64,5	17,4
ქუთაისის	71,8	10,8
წყალტუბოს	81,3	20,4
ტყიბულის	84,7	19,1
ცხაკაიას	79,6	17,9
აბაშის	50,3	1,0
გეგეჭკორის	88,7	42,7
ზუგდიდის	78,1	23,7
წალენჯიხის	94,3	47,9
ჩხოროწყუს	93,0	53,3
ხობის	88,0	34,2
თერჯოლის	75,9	1,1
ზესტაფონის	58,0	—
ჭიათურის	98,8	7,5
ვანის	109,0	—
სულ საქ. სსრ-ში	82,7	24,5

შესანიშნავი რუსი მეცნიერი

კ. ე. ციოლკოვსკის დაბადების 100 წლისთავის გამო

სახელოვანი მეცნიერი, მეცნიერებაში რევოლუციური იდეების ავტორი კონსტანტინე ციოლკოვსკი დაიბადა 100 წლის წინათ, 1857 წლის 17 სექტემბერს რიაზანის გუბერნიის სპასკის მაზრის სოფ. იჟევსკში, მეტყევე ედუარდ ციოლკოვსკის ოჯახში.

ბავშვობა დიდ გაჭირვებაში გაატარა. მის მშობლებს 13 შვილი ჰყავდათ სარჩენი. 12 წლის ასაკში გარდაეცვალა დედა, რის შემდეგ კ. ციოლკოვსკი იძულებული იყო სკოლიდან გამოსულიყო და თვითსწავლისათვის მიეყო ხელი. მამის ბიბლიოთეკის საშუალებით იგი გაეცნო ფიზიკისა და მათემატიკის წიგნებს, მოიწყო თავისთვის პატარა სახელოსნო და დაიწყო ჯერ ქაღალდის საჰაერო ბურთების კეთება, შემდეგ კი შექმნა ქარის ძალით მოძრავი ურიკალა.

16 წლის ციოლკოვსკი მამამ მოსკოვში გაგზავნა გამომგონებლობის მიდრეკილების გაღრმავების მიზნით. სწავლობდა ჯერ საშუალო, ხოლო შემდეგ უმაღლეს მათემატიკას, ფიზიკას და ქიმიას. ამ პერიოდში მას განსაკუთრებით აინტერესებდა საკითხი: ხომ არ შეიძლება ცენტრიდანული ძალის გამოყენება ატმოსფეროში ასაფრენად. მაგრამ როდესაც ამის შეუძლებლობაში დარწმუნდა, ისე დაღონდა, რომ კინაღამ ხელი აიღო ამ მიმართულებით მუშაობაზე.

1879 წელს 22 წლის ციოლკოვსკიმ ექსტერნის წესით ჩააბარა გამოცდები და მიიღო სახალხო სასწავლებლის მასწავლებლის წოდება. ამის შემდეგ გაიგზავნა ქ. ბოროვსკის სამაზრო სასწავლებლის მათემატიკის მასწავლებლად. აქ თავის ბინაზე მოაწყო პატარა ლაბორატორია, სადაც განსაცვიფრებელ ცდებს აყენებდა.

24 წლის ციოლკოვსკიმ პეტერბურგის ფიზიკა-ქიმიურ საზოგადოებას გაუგზავნა შრომა „გაზთა თეორიის" შესახებ. შრომა მოწონებულ იქნა მენდელეევის მიერ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ უფრო ადრე ეს საკითხები უცხოეთში გადაეჭრათ. მეორე შრომის „ცხოველის ორგანიზმის მექანიკა" შედეგად ციოლკოვსკი არჩეულ იქნა ფიზიკა-ქიმიური საზოგადოების წევრად.

28 წლის ასაკიდან ციოლკოვსკიმ დაიწყო მუშაობა ჰაერნაოსნობის საკითხებზე. „ფიქრი მსოფლიოს სივრცეში მიმოსვლის შესახებ მუდამ თან მდევდა", — წერდა იგი შემდეგში. ბოროვსკში მან დაიწყო დირიჟაბლის მოდელის კეთება. მალე ამ ამბავმა მიაღწია მოსკოვის უნივერსიტეტამდეც, სადაც ციოლკოვსკი მიწვეულ იქნა მოხსენებების წასაკითხად. გამოჩენილმა რუსმა ფიზიკოსმა ა. სტოლეტოვმა მაღალი შეფასება მისცა ციოლკოვსკის შრომებს და ხელი შეუწყო მათს გამოქვეყნებას. მათ შორის მნიშვნელოვანია შრომა: „აეროსტატის თეორია და ცდა", რომელშიც მოცემულია ლითონის გარსის მქონე დირიჟაბლის კონსტრუქციის თეორიული დასაბუთება.

ბოროვსკში დაბრუნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ციოლკოვსკის სახლს ხანძარი გაუჩნდა და მთლიანად გადაიწვა. სახლთან ერთად დაიწვა მისი ხელნაწერები, მოდელები და ბიბლიოთეკა. ამ გარემოებამ გამანადგურებლად იმოქმედა ციოლკოვსკიზე, ერთხანს ვერაფერს აკეთებდა. 1893 წელს იგი ოჯახით ქ. კალუგაში გადავიდა ფიზიკისა და მათემატიკის მასწავლებლად და კვლავ განაგრძო საყვარელი საქმე გამომგონებლობის დარგში.

ციოლკოვსკის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მეცნიერული დამსახურება მიუძღვის რაკეტისა და რეაქტიული ხელსაწყოების მოძრაობის თეორიის დამუშავების საქმეში. 1903 წელს ჟურნალ „ნაუჩნოე ობოზრენიეში" დაიბეჭდა ციოლკოვსკის სტატია „მსოფლიო სივრცეების გამოკვლევა რეაქტიული ხელსაწყოებით". უნდა აღინიშნოს, რომ ფრენის მიზნით რაკეტის გამოყენების შესახებ უფრო ადრე — 1881 წელს, ჩამოხრჩობამდე რამდენიმე დღის წინ, წერდა რუსი რევოლუციონერ-ხალხოსანი კიბალჩიჩი. ამ წერილისაგან განსხვავებით ციოლკოვსკიმ მოგვცა რაკეტის გაფრენის თეორია და საპლანეტთაშორისო ფრენისათვის რეაქტიული აპარატების გამოყენების შესაძლებლობის დასაბუთება.

აღნიშნულ შრომაში მოცემულია სრულიად ორიგინალური გამოკვლევა: რაკეტის მოძრაობისა სივრცეში — სიმძიმის ძალის გარეშე; რაკეტის მარგი მოქმედების კოეფიციენტისა; რაკეტის ფრენისა სიმძიმის ძალის გავლენით ვერტიკალური და დახრილი მიმართულებებით. ციოლკოვსკის ეკუთვნის ჰიპოთეზა სხვადასხვა პლანეტიდან აფრენის პირობებისა; პლანეტიდან ან ასტეროიდიდან დედამიწაზე რაკეტის დაბრუნების ამოცანის განხილვა. მანვე გამოიკვლია ჰაერის წინააღმდეგობის ძალის გავლენა მოძრავ რაკეტზე და მოგვცა დაწვრილებითი გაანგარიშება საწვავის მარაგისა იმისათვის, რომ რაკეტმა გააპოს დედამიწის ატმოსფეროს ფენა. ციოლკოვსკის ეკუთვნის იდეა რაკეტების მატარებლის შესახებ კოსმოსური სივრცის გამოსაკვლევად.

აღნიშნული შრომები ამჟამად კლასიკურ შრომათა რიცხვს მიეკუთვნება. პირველ რიგში აღსანიშნავია მისი კანონი, რომელიც ეხება უჰაერო სივრცეში მხოლოდ რეაქტიული ძალით მოძრავ რაკეტს და ჰიპოთეზა რაკეტის საქშენიდან საწვავის პროდუქტების გამოდინების ფარდობითი სიჩქარის მუდმივობის შესახებ.

ციოლკოვსკის შრომები მარტო თეორიული ხასიათისა როდია, მათში მოცემულია აგრეთვე პრაქტიკული მითითებანი ცალკეული დეტალების დამზადების, საწვავის შერჩევის შესახებ და სხვ.

1927 წელს ციოლკოვსკიმ საკუთარი ხელით დაამზადა რაკეტის მოდელი. რაკეტის მოძრაობისათვის საჭირო ფორმულების მიღების შემდეგ მან ფართო გეგმა დასახა საზოგადოდ რეაქტიული აპარატის გამოყენების ირგვლივ; ამ გეგმის დასასრულს იგი აყენებს საკითხს ჩვენი მზის სისტემის ყველაზე პატარა სხეულების — ასტეროიდების ან პლანეტოიდების დაპყრობისა და ბოლოს მთელ მზის სისტემაზე ადამიანთა მოდგმის გავრცელების შესახებ.

ციოლკოვსკის მეცნიერულმა მოღვაწეობამ მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ჰპოვა ნამდვილი გაქანება. ახალ შრომებთან ერთად მან შეასწორა და ხელმეორედ გამოსცა თავისი წინათ გამოცემული შრომებიც. რამდენიმე შრომა უძღვნა რეაქტიულ თვითმფრინავს.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ ჯეროვნად დააფასეს კონსტანტინე ედუარდის-ძე ციოლკოვსკის მოღვაწეობა, 1932 წელს მას გადაუხადეს დაბადების 75 წლის იუბილე და დააჯილდოვეს შრომის წითელი დროშის ორდენით; გაუდიდეს პერსონალური პენსია, დაწესდა მისი სახელობის სტიპენდიები, ქუჩას კალუგაში ეწოდა მისი სახელი და სხვ.

1935 წელს ციოლკოვსკის კუჭნაწლავი დაუავადდა. ზუსტად თავისი დაბადების დღეს—17 სექტემბერს გრძნობა დაკარგა და ორი დღის შემდეგ გარდაიცვალა. „პრავდა" 1935 წლის 20 სექტემბრის მოწინავე წერილში წერდა: „გარდაიცვალა კონსტანტინე ედუარდის-ძე ციოლკოვსკი. ეს ცნობა, როგორც ეთერის ტალღა, მთელ დედამიწას შემოივლის და მწუხარებით აღავსებს მილიონობით ადამიანთა გულს".

კ. ციოლკოვსკი დაკრძალულია კალუგაში. მის ძეგლს კვარცხლბეკს კოსმოსური რაკეტებისა და მთლიანლითონის დირიჟაბლის ბარელიეფები ამშვენებენ. მეცნიერის პორტრეტის ქვეშ მოთავსებულია ტექსტი, რომელიც ციოლკოვსკისავე სიტყვებით მთავრდება:

„კაცობრიობა ყოველთვის მიწაზე კი არ დარჩება, არამედ, გამოედევნება რა სინათლესა და სივრცეს, ჯერ გაუბედავად გადალახავს ატმოსფეროს საზღვარს, შემდეგ კი მზის ახლო სივრცეს მთლიანად დაიპყრობს".

კ. ციოლკოვსკის სახელი მიენიჭა დირიჟაბლსამშენებლო სასწავლო კომბინატს ტუშინოში; დაწესდა ყოველწლიური პრემია ჰაერნაოსნობის დარგში საუკეთესო სამეცნიერო შრომებისათვის.

სავსებით ბუნებრივია, რომ ციოლკოვსკის სამშობლოში — საბჭოთა კავშირში რეაქტიული თვითმფრინავი საბჭოთა მოქალაქის საყვარელ ტრანსპორტად არის ქცეული.

საინტერესოა, რომ ოცნებაში შესული ციოლკოვსკი წერდა: „ჯერ შეიძლება რაკეტით ვიფრინოთ მხოლოდ დედამიწის ირგვლივ, შემდეგ კი შემოვწეროთ ესა თუ ის მანძილი მზის მიმართ". როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის ოქტომბერში საბჭოთა კავშირში განზრახულია დედამიწის ირგვლივ სწორედ ასეთი რაკეტის — ხელოვნური თანამგზავრის გაშვება. ამგვარად, ციოლკოვსკის ეს ოცნება მისი დაბადების 100 წლისთავზე სრულდება.

ცნობილია აგრეთვე, რომ საბჭოთა მეცნიერები სამი წლის წინათ შეუდგნენ მთვარეზე გაფრენის თადარიგს. ეს გაფრენა წინასწარი გეგმით 1974 წელს უნდა მოხდეს. ციოლკოვსკის ოცნებანი, როგორც ვხედავთ, სინამდვილედ იქცა.

ამას წინათ გამოქვეყნდა ტასს-ის ცნობა იმის შესახებ, რომ საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტის გამოცდამ წარმატებით ჩაიარა. მეცნიერთა გამოთვლით, ასეთი რაკეტი მოსკოვიდან ნიუ-იორკამდე 30 წუთში მიაღწევს. საბჭოთა მეცნიერთა მიერ ამ იარაღის გამოგონება ციოლკოვსკის იდეებისა და თეორიის ბრწყინვალე დადასტურებაა.

დოცენტი შ. პარკაძე,
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

ბულგარეთის მთავრობის დელეგაცია პეკინში

პეკინი, 16 სექტემბერი. (საკდესი). დღეს აქ გაიმართა პეკინის მშრომელთა მიტინგი ბულგარეთის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად.

მიტინგზე შეიკრიბა 7 ათასზე მეტი კაცი — დედაქალაქის საწარმოთა მუშები და მოსამსახურეები, სტუდენტები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

მიტინგის პრეზიდიუმში არიან ბულგარეთის მთავრობის დელეგაციის წევრები ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ანტონ იუგოვის მეთაურობით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი, პეკინის მერი პინ ჯენი, პეკინის სახალხო კომიტეტის წევრები.

მისასალმებელ სიტყვაში პინ ჯენმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბულგარელმა ხალხმა დიდი წვლილი შეიტანა სოციალისტური ქვეყნების ერთიანობის განმტკიცებაში. საერთაშორისო ურთიერთობაში ბულგარეთი თანმიმდევრულად და განუხრელად ახორციელებს მშვიდობიან საგარეო პოლიტიკას და დაუცხრომელ ღონისძიებებს ხმარობს ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნებისათვის. ჩინელი ხალხი, განაცხადა პინ ჯენმა, სავსებით უჭერს მხარს ბულგარელი ხალხის ამ ღონისძიებებს.

საპასუხო სიტყვაში ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ანტონ იუგოვმა აღნიშნა, რომ ბულგარელი ხალხი უდიდესი კმაყოფილებისა და სიხარულის გრძნობით ხვდება ჩინელი ხალხის წარმატებებს სოციალისტურ მშენებლობაში. ჩინელმა ხალხმა, ისევე როგორც ბულგარელმა ხალხმა, კარგად იცის, რომ სოციალისტურ სახელმწიფოთა ურყევი ერთიანობა ჩვენი გამარჯვებების დიდმნიშვნელოვანი პირობაა. ბულგარეთისა და ჩინეთის ხალხები უდიდესი სიყვარულისა და მადლიერების გრძნობით ეკიდებიან ჩვენს ერთგულ მეგობარსა და მოკავშირეს — დიდ საბჭოთა კავშირს. ჩვენ, ისევე როგორც ჩინელი ხალხი, თქვა ანტონ იუგოვმა, მტკიცედ ვდგავართ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პოზიციებზე. თავის შემოქმედებით შრომაში ჩვენს ორ ხალხს აქვს დიადი მაგალითი, სახელდობრ საბჭოთა ხალხის გამოცდილება, რასაც უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ეს გამოცდილება გვასწავლიდა ჩვენ წარსულში, გვასწავლის ახლა და გვასწავლის მომავალში. ყოველ სახელმწიფოს აქვს თავისი თავისებურებანი, ეროვნული ტრადიციები და თავისი სიძნელეები.

მაგრამ ამ თავისებურებებსა და სიძნელეებს არა აქვთ არსებითი მნიშვნელობა. მათი გაზვიადებით დაინტერესებული არიან სოციალიზმის მტრები, რომლებიც ისწრაფვიან დაუპირისპირონ ჩვენი ქვეყნები ერთმანეთს და გათიშონ ისინი.

თავისი სიტყვის დასასრულს ანტონ იუგოვმა დღეგრძელობა უსურვა ბულგარეთ-ჩინეთის ურღვევ მეგობრობას და საერთო მეგობრობას დიდ საბჭოთა კავშირთან.

დასავლეთ გერმანიის ბუნდესტაგის არჩევნების შედეგები

ბონი, 16 სექტემბერი. (საკდესი). დღეს დილით აქ გამოქვეყნდა წინასწარი ოფიციალური შედეგები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგის მორიგი არჩევნებისა, რომელიც გუშინ გაიმართა. დასავლეთ გერმანიის 35,2 მილიონი ამომრჩევლიდან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 31,05 მილიონმა კაცმა, ესე იგი 88,24 პროცენტმა. კენჭისყრის შედეგად ნამდვილად მიჩნეულია 29,8 მილიონი საარჩევნო ბიულეტენი.

ამომრჩეველთა მეტი წილი ხმები და დეპუტატთა ადგილები ბუნდესტაგში მიიღო ადენაუერის პარტიამ ქრისტიან დემოკრატთა კავშირმა — ქრისტიანთა სოციალურმა კავშირმა — 14.998.754 ხმა (50,18 პროცენტი) და 270 დეპუტატთა მანდატი (26 მანდატით მეტი, ვიდრე 1953 წლის არჩევნებში). ქრისტიან დემოკრატთა კავშირის მხარდაჭერით ბუნდესტაგში შევიდა „გერმანიის პარტია“, რომელმაც მოაგროვა ამომრჩეველთა მხოლოდ 1 მილიონი ხმა, ანუ 3,36 პროცენტი. ამ პარტიამ ახლა ბუნდესტაგში მიიღო 17 მანდატი, ნაცვლად 15 მანდატისა, რაც მან 1953 წელს მიიღო.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მიიღო ამომრჩეველთა 9,5 მილიონი ხმა, ანუ 31,75 პროცენტი, და 169 დეპუტატთა მანდატი. ეს ნიშნავს, რომ 1953 წელთან შედარებით ამ პარტიისათვის მიცემული ხმების მატებამ შეადგინა 2,95 პროცენტი. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის დეპუტატთა მანდატების რაოდენობა ბუნდესტაგში 18-ით გადიდდა.

„თავისუფალმა დემოკრატიულმა პარტიამ“ მოაგროვა 2,3 მილიონი ხმა, ანუ 7,71 პროცენტი, ესე იგი 1,79 პროცენტით ნაკლები, ვიდრე 1953 წელს. ადრინდელი 48 მანდატის ნაცვლად ამ პარტიას ახლა ბუნდესტაგში 41 მანდატი აქვს.

გუშინდელი არჩევნების შედეგად ბუნდესტაგში არ გავიდა „საერთო გერმანული ბლოკი“, რომელიც წარმოდგენილი იყო ბუნდესტაგში 1953 წლის არჩევნების შემდეგ. ვერც ერთი დეპუტატთა ადგილი ვერ მიიღო ბუნდესტაგში აგრეთვე ყველა დანარჩენმა პარტიამ, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობდნენ, სახელდობრ ფედერალისტთა კავშირმა (ბავარიის პარტიისა და ცენტრის პარტიის ბლოკი), „გერმანიის იმპერიის პარტიამ“, „ერთიანობის, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ გერმანელთა კავშირმა“, „გერმანელთა გაერთიანებამ“, „გერმანიის საშუალო წოდების პარტიამ“, სამხრეთ შლეზვიგის ამომრჩეველთა გაერთიანებამ და „სამამულო კავშირმა“.

გუშინდელი არჩევნების შემდეგ ბუნდესტაგში იქნება 497 დეპუტატი ნაცვლად გათვალისწინებული 494 დეპუტატისა. ეს იმით აიხსნება, რომ ქრისტიან დემოკრატთა კავშირმა შლეზვიგ-ჰოლშტეინის მხარეში დამატებით მიიღო სამი მანდატი.

ამრიგად, გუშინდელი არჩევნების შედეგად ადენაუერის პარტიამ ქრისტიან დემოკრატთა კავშირმა — ქრისტიანთა სოციალურმა კავშირმა, როგორც წინათ, მიიღო ნახევარზე მეტი ადგილები დასავლეთ გერმანიის ბუნდესტაგში.

როგორც ცნობილია, ამ შედეგს ადენაუერის პარტიამ მიაღწია ანტიდემოკრატიული საარჩევნო სისტემის დახმარებით, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთ გერმანიის მონოპოლიების ფინანსური და პოლიტიკური მხარდაჭერით და დემაგოგიისა და ამომრჩეველთა აშკარა მოტყუების მეთოდების გამოყენებით.

გერმანიის სოციალურ-დემოკრატიულმა პარტიამ ხმებისა და ადგილების გარკვეულ მატებას მიაღწია ბუნდესტაგში, მაგრამ სავსებით ცხადია, რომ ამ პარტიას შეეძლო მოეპოვებინა გაცილებით მეტი წარმატება ბუნდესტაგის არჩევნებში, იგი რომ გამოსულიყო დასავლეთ გერმანიის მთელ ოპოზიციურ ძალებთან ერთად დასავლეთ გერმანიის ბუნდესვერის ატომურ შეიარაღებაზე უარისთქმის ლოზუნგით.

არჩევნების შედეგმა დასავლეთ გერმანიაში ვერ გამოიწვია რაიმე არსებითი ცვლილება პარლამენტის ძალების განაწილებაში.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, მიიღო რა ბუნდესტაგში ერთ მესამედზე მეტი მანდატი, მიაღწია ისეთ მდგომარეობას, როცა მის დაუთანხმებლად ვერ შეიტანენ ცვლილებებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციაში, რისთვისაც იბრძოდა დასავლეთ გერმანიის მმართველი პარტია — ქრისტიან დემოკრატთა კავშირი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრესა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგის არჩევნების შესახებ

ბერლინი, 16 სექტემბერი. (საკდესი). დღეს გაზეთები „ფორვერტსი“ და „ტრიბუნე“ ათავსებენ სტატიებს, რომლებიც ახასიათებენ ვითარებას, რომელშიც მიმდინარეობდა დასავლეთ გერმანიის ბუნდესტაგის არჩევნები.

როგორც გაზეთი „ფორვერტსი“ აღნიშნავს, წინასაარჩევნო ბრძოლაში მთელი სახელმწიფო დაწესებულებების, პროპაგანდის ყველა საშუალების, პრესის, კინოსა და ტელევიზიის გამოყენებამ, ადენაუერის პარტიის — ქრისტიან დემოკრატთა კავშირისათვის ეკლესიის მხარდაჭერამ, იმ პოლიტიკურ მსოფლმხედველობათა გამოყენებამ, რომლებიც კიდევ დარჩნენ ნაცისტური სახელმწიფოსაგან, კვლავ გაუკაფეს გზა დაძაბულობის გამწვავების, გერმანიის გათიშვის გაღრმავების, ატომური შეიარაღების ობიექტად გერმანიის გადაქცევის პოლიტიკას, ატომური შეიარაღებისა, რომლის არსებობა საფრთხეს უქმნის ევროპის მშვიდობას.

ბუნდესტაგის არჩევნებმა კვლავ ცხადყო, რომ მსხვილი კონცერნები ყიდულობენ პოლიტიკურ ძალაუფლებას, ხაზგასმით აღნიშნავს „ფორვერტსი“.

ოლენჰაუერის განცხადება

ბონი, 16 სექტემბერი. (საკდესი). გამოვიდა რა დღეს ბუნდესტაგის არჩევნების შედეგებისადმი მიძღვნილ პრეს-კონფერენციაზე, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ე. ოლენჰაუერმა აღნიშნა, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში მნიშვნელოვნად ნაკლებ ხელსაყრელ პირობებში იმყოფებოდა, ვიდრე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველი პარტია — ქრისტიან დემოკრატთა კავშირი.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ვერ მიაღწია თავის უახლოეს მიზანს არჩევნებში — ძირი ვერ გამოუთხარა ქრისტიან დემოკრატთა კავშირის — ქრისტიანთა სოციალური კავშირის აბსოლუტურ უმრავლესობას. მაგრამ მან მიაღწია თავის მეორე მიზანს, არსებითად გააუმჯობესა თავისი პოზიციები ბუნდესტაგში, მიაღწია იმას, რომ ახლა მისი ნების წინააღმდეგ ვერ მოხდება კონსტიტუციის ვერავითარი ცვლილება (ცნობილია, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციის შეცვლისათვის საჭიროა სულ ცოტა ხმის $^2/_3$, ხოლო გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ არჩევნებში მიიღო ბუნდესტაგის ადგილების $^1/_3$-ზე მეტი. — რედ.). ეს არის წარმატება, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მომავლისათვის, ხაზგასმით აღნიშნა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა. აღნიშნა რა გაძლიერებული საფრთხე, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა გადაიქცეს „ავტორიტარულ სახელმწიფოდ“, მან თქვა: ყველა თავისუფლებისმოყვარე გერმანელისათვის ახლა დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ იყოს ფხიზლად და გააორკეცოს ღონისძიებანი, რომლებიც მიმართული იქნებიან ტოტალიტარული ხელისუფლების პრეტენზიების წინააღმდეგ... გრძელდება ბრძოლა ერთობისათვის, თავისუფლებისა და მშვიდობისათვის.

პოლონეთის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სამშობლოში დაბრუნდა

ვარშავა, 16 სექტემბერი. (საკდესი). დღეს იუგოსლავიიდან ვარშავაში დაბრუნდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია.

„ტუ-104ა“ ნიუ-იორკში მიფრინავს

მოსკოვიდან გაემგზავრნენ სსრ კავშირის, უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ დელეგაციები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XII სესიაზე

14 სექტემბერს დილით ადრე დედაქალაქის საჰაერო კარზე — ვნუკოვოს აეროდრომზე ხშირი ნისლი ჩამოწოლილიყო. აეროდრომი „დახურული“ იყო. არ წარმოებდა არც დაშვება, არც აფრენა. მგზავრები გამოდიოდნენ აეროპორტის შენობიდან და გულდაწყვეტილი აქნევდნენ თავს. ღელავდნენ არა მარტო ისინი, ვინც უნდა გაფრენილიყო, არამედ ისინიც, ვინც მიწაზე რჩებოდა და ვისაც წილად ხვდა საპატიო ამოცანა — თვითმფრინავ „ტუ-104ა“-ს მომზადება გასაფრენად მოსკოვიდან ნიუ-იორკში.

საჰაერო ხომალდი აეროპორტის შენობის მახლობლად იდგა. მისი მგზავრები — საბჭოთა კავშირის, უკრაინისა და ბელორუსიის დელეგაციების წევრები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XII სესიაზე — დილის 6 საათზე შეიკრიბნენ. მაგრამ ნისლი ჯერ არ გაფანტულიყო, და საჰაერო ხიდზე რჩებოდა ლოდინი. ყველაზე სამწუხარო ის იყო, რომ მეტეოროლოგებმა მთელ ტრასზე იწინასწარმეტყველეს კარგი ამინდი და ლონდონშიც კი ცა მოწმენდილი იყო. კინოოპერატორებმა და ფოტოკორესპონდენტებმა უამრავი სურათის გადაღება მოასწრეს. მათ სურათები გადაუღეს დელეგაციის წევრებს, თვითმფრინავის ეკიპაჟს, ინგლისელ მფრინავებს, რომლებიც ხომალდის ეკიპაჟთან ერთად მიფრინავენ. გადაფრენის ხელმძღვანელმა ა. სემენკოვმა ჟურნალისტებს უამბო შორეული რეისისათვის მზადების თავისებურებათა შესახებ, ილაპარაკა ამასწინანდელ გადაფრენაზე ნიუ-იორკში.

როგორც კი გამოირკვა, რომ ნისლი იფანტებოდა, ხომალდის უფროსებმა ბ. ბუგაევმა და ი. ორლოვმა, შტურმანმა ნ. ნოსოვმა, მეორე პილოტებმა პ. დევიატოვმა, პ. სიროვმა და ეკიპაჟის სხვა წევრებმა დაიკავეს თავიანთი ადგილები. გამოეთხოვნენ რა გამცილებლებს, თვითმფრინავში ავიდნენ საბჭოთა კავშირის დელეგაციის ხელმძღვანელი სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, უკრაინის სსრ დელეგაციის ხელმძღვანელი — უკრაინის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ლ. ფ. პალამარჩუკი, ბელორუსიის სსრ დელეგაციის ხელმძღვანელი — ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი კ. ვ. კისელიოვი.

6 საათსა და 47 წუთზე რეაქტიული ხომალდი მიწას მოსწყდა და კურსი აიღო ლონდონისაკენ, სადაც მოხდება პირველი დაშვება.

(საკდესი).

პოლიტიკური მკვლელობის ორგანიზატორი

რომი, 16 სექტემბერი. (საკდესი). იტალიური გაზეთი „პაეზე“ აქვეყნებს კორესპონდენციას პარიზიდან, რომელშიც ნათქვამია, რომ საფრანგეთის ოფიცერთა უმაღლეს წრეებში არსებობს რწმენა, რომ გენერალ შპაიდელს აკისრია პასუხისმგებლობა იუგოსლავიის მეფის ალექსანდრეს და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ბარტუს მარსელში მოკვლის მომზადებაში მონაწილეობისათვის. როგორც გაზეთი აღნიშნავს, საფრანგეთის სამხედრო დაზვერვას აქვს მთელი რიგი ცნობები, რომლებიც ადასტურებენ ამ მკვლელობაში შპაიდელის თანამონაწილეობას.

კორესპონდენციაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ საფრანგეთის შეიარაღებული ძალების ზოგიერთი მაღალი თანამდებობის ოფიცერი იმთავითვე ილაშქრებდა ნატოში მეთაურის პოსტზე შპაიდელის დანიშვნის წინააღმდეგ. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების ზეგავლენით საფრანგეთის ხელისუფალნი ამ დანიშვნას დაეთანხმნენ.

არაბთა პროფკავშირების საერთაშორისო ფედერაციის განცხადება

კაირო, 16 სექტემბერი. (საკდესი). მენის სააგენტომ გადასცა არაბთა პროფკავშირების საერთაშორისო ფედერაციის განცხადება, რომელიც გულისწყრომით გმობს ამერიკელი იმპერიალისტების შეთქმულებას სირიის რესპუბლიკის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

„არაბო მუშებო, — აღნიშნულია განცხადებაში, — ბოროტებისა და ძალადობის ძალები ერთად მოქმედებენ, რათა წაგვართვან თავისუფლება — ჩვენი სასიცოცხლო ძალის წყარო — და მოსპონ ჩვენი ნაციონალიზმი.

იმპერიალიზმმა ბრძოლის ასპარეზი ეგვიპტიდან გადაიტანა სირიაში. როგორც ჩანს, დასავლეთმა გაკვეთილი ვერ გამოიტანა პორტსაიდიდან და შეთქმულებას აწყობს სირიის წინააღმდეგ, გააფთრებული ცდილობს ძალით მოახვიოს თავს თავისი ბატონობა“.

შემდეგ განცხადებაში ნათქვამია, რომ აგრესიის უკან, რომელიც ეგვიპტის წინააღმდეგ იყო გაჩაღებული, იმალებოდა ამერიკა. „შეერთებულმა შტატებმა, — აღნიშნულია განცხადებაში, — ნიღაბი ჩამოიხადეს და ახლა თავიანთი ფლოტის, იარაღის, ჯარებისა და აგენტების დახმარებით ცდილობენ აწარმოონ ბრძოლა სირიის წინააღმდეგ მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ქვეყანა არ დათანხმდა ამერიკის მეურვეობაზე“.

განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ არაბი მუშები ბრძოლაში მარტონი როდი არიან. მათ მხარეზე არიან აზიისა და აფრიკის მუშები, ყველა თავისუფლებისმოყვარე ადამიანი.

ტერორი ომანში

დელი, 16 სექტემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთ „დელი ტაიმსის“ სპეციალური კორესპონდენტი იუწყება, შუა აღმოსავლეთის ქვეყნებიდან მიღებული ცნობების თანახმად, ინგლისის სარდლობამ ომანის მთელ რიგ ადგილებში და მის დედაქალაქ ნაზვში დააპატიმრა ასობით ადამიანი, მათ შორის ქალები, ბავშვები და მოხუცები. პატიმრები თავდაპირველად მოათავსეს ბანაკებში, რომლებიც მოწყობილია ომანის სანაპირო ზოლში, ხოლო შემდეგ ინგლისის გემებით გაგზავნეს სპარსეთის ყურის უდაბურ რაიონებში, სადაც დატოვეს ისე, რომ არავითარი საარსებო საშუალება არა აქვთ.

როგორც იუწყებიან, წერს გაზეთი, ომანიდან გასახლებულთა რიცხვმა რამდენიმე ათას კაცს მიაღწია.

სპორტის ამბები

★ ★

მ. ემელიანოვა და ს. ანდრეევი — სსრ კავშირის ჩემპიონები

კვირას, 15 სექტემბერს, თბილისის „დინამოს“ ჩოგბურთის მოედანზე გაიმართა ჩვენი ქვეყნის 1957 წლის პირველობის გათამაშების ფინალური შეხვედრები.

პირველად მოედანზე გამოვიდნენ ქალთა შორის ფინალური მატჩის მონაწილენი — მოსკოველები ტ. ჩუვირინა და მ. ემელიანოვა. ჩვენი ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონის ჩუვირინას წარმატებაში მაყურებელთა უმრავლესობას ეჭვი არ ეპარებოდა. ეს აზრი ნათელჰყო თვით შეხვედრის დასაწყისმაც, როდესაც პირველ პარტიაში ჩუვირინამ სწრაფად წაიყვანა ანგარიში თავის სასარგებლოდ (5:1). ახალგაზრდა ემელიანოვა არ დაბნეულა და ზუსტი, მეთოდური თამაშით მკვეთრი გარდატეხა შეიტანა პირველსავე პარტიაში. ემელიანოვამ ჯერ გაათანაბრა ანგარიში, ხოლო შემდეგ შეძლო კიდევაც პირველი პარტიის მოგება — 7:5. მეორე პარტიაც (ანგარიშით 6 : 3) მოიგო ემელიანოვამ. ამრიგად, ქალთა შორის საბჭოთა კავშირის ჩემპიონის საპატიო წოდება პირველად მოიპოვა მ. ემელიანოვამ (მოსკოვი). მეორე ადგილზე გამოვიდა ტ. ჩუვირინა, ხოლო მესამეზე — ვ. ფილიპოვა.

დიდი ინტერესით მოელოდა მაყურებელი ფინალურ ასპარეზობას ვაჟთა შორის. ჩვენი ქვეყნის გასული წლის ჩემპიონის ს. ანდრეევის (მოსკოვი) წინააღმდეგ თამაშობდა კიეველი მ. მოზერი. მოზერმა, რომელმაც ადრინდელი შეხვედრები ძლიერად ჩაატარა და ენერგიული, ლამაზი თამაშით მოხიბლა მაყურებელი, ამჯერად ხუსტად ჩაატარა გადამწყვეტი შეხვედრა და დამარცხდა სამ პარტიაში (1:6, 0:6, 1:6). ს. ანდრეევმა შეინარჩუნა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის საპატიო წოდება. მეორე ადგილზე გამოვიდა მ. მოზერი. დიდი წარმატება მოიპოვა 16 წლის ახალგაზრდა ესტონელმა ჩოგბურთელმა ტ. ლეიუსმა (ტალინი), რომელიც მესამე საპრიზო ადგილზე გამოვიდა. ტ. ლეიუსმა მოიპოვა სპორტის ოსტატის წოდება.

საინტერესო და დაძაბული ბრძოლით აღინიშნა შეხვედრები წყვილთა შორის. ქალთა შორის ოქროს მედლები მოიპოვეს ვ. ფილიპოვამ და ლ. პრეობრაჟენსკაიამ, ხოლო ვაჟთა შორის — ნ. ოზეროვმა და ს. ანდრეევმა. შერეულ წყვილთა შორის ყველაზე ძლიერები აღმოჩნდნენ ნ. ოზეროვი და ა. ლიტოვჩენკო.

შეჯიბრების დასასრულს გამარჯვებულ სპორტსმენებს გადაეცათ მედლები და დიპლომები. დიპლომები და საპატიო სიგელები გადაეცათ აგრეთვე საუკეთესო მწვრთნელებს.

ა. გოგოლაშვილი.

* * *

სურათებზე: სსრ კავშირის ჩემპიონები ჩოგბურთში. ცენტრში — მ. ემელიანოვა და ს. ანდრეევი; მარცხნივ — ტ. ლიტოვჩენკო და ნ. ოზეროვი; მარჯვნივ — ვ. ფილიპოვა და ლ. პრეობრაჟენსკაია.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

სსრ კავშირის პირველობაზე

„ა“ კლასი

მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „დინამოსა“ და სტალინოს „შახტიორის“ გუნდები. დიდი ანგარიშით — 7:2 გაიმარჯვეს დინამოელებმა.

ლენინგრადში ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე ლენინგრადის „ზენიტმა“ მიიღო კიევის „დინამო“.

შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2.

„ბ“ კლასი

„ბ“ კლასის მესამე ზონის ერთ-ერთმა ლიდერმა ერევნის „სპარტაკმა“ თავის სტადიონზე ჩაატარა მორიგი შეხვედრა ტაშკენტის „პახტაკორთან“. შედეგია ფრე — 0:0.

ბაქოს „ნეფტიანიკის“ ფეხბურთელთა კოლექტივმა მიიღო სტალინაბადის „უროჟაი“, რომელიც დაამარცხა დიდი ანგარიშით — 8:0.

ქუთაისში ადგილობრივმა „ლოკომოტივის“ გუნდმა ჩაატარა მორიგი შეხვედრა ალმაატის „კაირატთან“. თამაში დამთავრდა ქუთაისელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

სსრ კავშირის თასზე

მოსკოვი, 15 სექტემბერი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების მეორე ნახევარფინალური შეხვედრა ფეხბურთში. თამაშობდნენ დედაქალაქის გუნდები „სპარტაკი“ და „ტორპედო“.

შეჯიბრება მოიგეს სპარტაკელებმა ანგარიშით 1:0 და გავიდნენ ფინალში.

არმიელთა გამარჯვება

15 სექტემბერს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე „ბ“ კლასის მესამე ზონის გათამაშების ლიდერმა თბილისის საოლქო სპორტული კლუბის ფეხბურთელთა გუნდმა მიიღო ფრუნზეს „სპარტაკი“.

არმიელებმა ძლიერად ჩაატარეს შეხვედრა. გუნდის ყველა რგოლი ორივე ტაიმის განმავლობაში მოქმედებდა გააზრებულად და ურთიერთშეთანხმებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია თავდასხმის ხუთეულის კარგი თამაში.

თბილისელებმა ასპარეზობა მოიგეს სარეკორდო ანგარიშით — 13 : 0.

საფრანგეთის სტუდენტთა დელეგაცია საქართველოში

საქართველოში ოთხ დღეს იყო საფრანგეთის სტუდენტთა დელეგაცია [illegible] რის ხელმძღვანელობით. [illegible] სტუმრები გაეცნენ საქართველოს დედაქალაქის ცხოვრებას. ისინი იყვნენ თბილისის სხვადასხვა რაიონში.

ფრანგი სტუმრები ინტერესით გაეცნენ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მუშაობას. მათ გულთბილი შეხვედრა მოუწყეს ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სტუმრები „ბურევესტნიკის“ სტადიონზე დაესწრნენ თბილისელ სტუდენტთა დღესასწაულს ახალი სასწავლო წლის დაწყების გამო.

უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში დელეგაციის წევრებს უჩვენეს ფილმები „ქართული ბალეტის ოსტატები“, „საქართველოს ცეკვები“ და „წყალტუბო“.

საქართველოდან გამგზავრების წინ ფრანგ სტუდენტთა დელეგაციის ხელმძღვანელმა კლოდ ბრიუტერმა საქდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

— საბჭოთა კავშირში ახალგაზრდობა გარემოცულია მუდმივი ზრუნვით. იგი მხურვალედ ესწრაფვის მშვიდობას. საფრანგეთის, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის, ახალგაზრდობას აგრეთვე სურს მშვიდობა.

საფრანგეთის სტუდენტთა დელეგაცია 15 სექტემბერს თბილისიდან ლენინგრადში გაფრინდა. (საქდესი).

რუსთავის მეტალურგთა დელეგაცია სუმგაითში

რუსთავი. (საკ. კორ.). მეტალურგთა დელეგაცია ამ დღეებში გაემგზავრა მოძმე აზერბაიჯანის რესპუბლიკის ახალგაზრდა ინდუსტრიულ ქალაქ სუმგაითში.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან მეფოლადე თ. ბარბაქაძე, საგლინავი საამქროს ოსტატი გ. რუხაძე, ქარხნის საწარმოო განყოფილების უფროსის მოადგილე გ. ქამიერაშვილი, რკინიგზის საამქროს პარტორგანიზაციის მდივანი გ. ტოკლიკიშვილი, მილსაგლინავი საამქროს უფროსი მვალცავი ა. ტარუაშვილი, სამსხმელო საამქროს ცვლის უფროსი ვ. არლანიშვილი, ელექტროსარემონტო საამქროს კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ზ. ფომინა და ქარხნის დამხმარე მეურნეობის დირექტორი გ. ჩხიკვაძე.

დელეგაციის წევრები სუმგაითში რამდენიმე დღეს დაჰყოფენ, გაეცნობიან აზერბაიჯანელ თანამოსაქმეთა შრომით მიღწევებს, მოახდენენ გამოცდილების ურთიერთგაზიარებას

საჯარო ლექციები

18 სექტემბერს დღის 3 საათზე საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის საქალაქო განყოფილება ა.-კ. რკინიგზის მხატვრული აღზრდისა და ტექნიკური პროპაგანდის სახლის სალექციო დარბაზში (პლეხანოვის პროსპ. № 127) აწყობს დოცენტ ვ. ბახტაძის ლექციას თემაზე „ილია ჭავჭავაძე და რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები“ (ი. ჭავჭავაძის დაბადების 120 წლისთავისადმი მიძღვნილი ციკლიდან).

საღამოს 8 საათზე საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პოლიტიკური განათლების სახლის სალექციო დარბაზში (ლენინის ქ. № 35) — პროფესორ ს. დანელიას ლექციას თემაზე „ფრანგი ბურჟუაზიული ფილოსოფოსი და სოციოლოგი ოგიუსტ კონტი“ (გარდაცვალების 100 წლისთავის გამო).

ტელემაყურებელთა კონფერენცია

18 სექტემბერს საღამოს 7 საათზე საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტი და სატელევიზიო სტუდია საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში (მახარაძის ქ. № 8) აწყობენ ახალგაზრდა ტელემაყურებელთა კონფერენციას.

რედაქტორის მოადგილე
რ. ქურციკიძე.

ცენტრალურმა თეატრალურმა სალარომ განაახლა ბილეთების წინასწარ გაყიდვა თავისი სალაროების მეშვეობით. სალაროების მისამართი:

1. პლეხანოვის პროსპ. № 118.
2. რუსთაველის პროსპ. № 2.
3. რუსთაველის პროსპ. № 52 (ფოსტის შენობაში).
4. საბჭოს ქ. № 147 (ფოსტის შენობაში).

სალარო იღებს დაკვეთებს ორგანიზაციებისაგან თეატრების დადგმებზე კოლექტიურად დასწრებისათვის, აგრეთვე მიზნობრივი სპექტაკლების მოსაწყობად.

ცნობების მიღება შეიძლება ცენტრალურ თეატრალურ სალაროში, პლეხანოვის პროსპ. № 118, ტელეფონი № 3-54-18.

მეუღლე ეკატერინე, შვილი ლიანა, და მარო, ძმა ტიტიკო, რძლები პუპი, ანასტასია, ნატა კუტუბიძეები ოჯახებით, ვარლამ ფირცხალაიშვილი იუწყებიან

კონსტანტინე გაბრიელის-ძე კუტუბიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 18-IX, 8 ს. გამოსვენება 19-IX, 5 ს. ფოთის ქ. № 37.

დედა თამარ, მამა ნიკოლოზ, და რუსუდან, ძმა ლევან; შალვა გოცაძე, ირაკლი რაზმაძე ოჯახებით იუწყებიან

ირაკლი ნიკოლოზის-ძე ყიფიანის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 18-IX, 8 ს. გამოსვენება 19-IX, 6 ს. ბარნოვის I ჩიხი № 8.

მეუღლე მარო, შვილები ვენერა, ვალერიან, ვახტანგ, და მერი, ძმები ნესტორ, ვასო, სიძეები გ. ცინჩილიკაშვილი, ვ. თალაკვაძე ოჯახებით იუწყებიან

კორნელი ვატას-ძე ჯაიანის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 19-IX სოფ. კინჩხაში (წულუკიძის რ.).

მეუღლე ანიკო, შვილები ლილი, გურამ, სიძე კონსტანტინე იუწყებიან

ნესტორ დარისპანის-ძე ლაბაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 18-IX, 8 ს. გამოსვენება 19-IX, 5 ს. ვაჟა-ფშაველას ქ. № 5/7.

შვილები ნატალია, ანტონ, თინათინ, იულია, სალომე, სამსონ, სიძეები მ. კალატოზიშვილი, ი. ფურცელაძე, რძლები მარო, ანა ოჯახებით იუწყებიან

ნინო ანტონის ასულ შოშიაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 19-IX, 4 ს. სოფ. მარტყოფში.

საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს თანამშრომლები იუწყებიან

მანანა გივის ასულ ანთელავას

გარდაცვალებას.

მეუღლე აბესალომ, შვილები შოთა, ოთარ, ავთანდილ, და თამარ, ძმა მიხეილ ოჯახებით, რძალი ქეთევან იუწყებიან

მარგარიტა დავითის ასულ ორჯონიკიძე-ლომიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 19-IX, 4 ს. სოფ. გომში (ხაშურის რ.).

შვილი მირიან კლდიაშვილი, რძალი თინა შვილებით იუწყებიან

ფატი დავითის ასულ ელიავა-კლდიაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 18-IX, 8 ს. გამოსვენება 19-IX, 5½ ს. უნივერსიტეტის ქ. № 29.

საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის მუშაკები იუწყებიან რაიკომის ინსტრუქტორის

ნადეჟდა კონსტანტინეს ასულ ღლონტის

გარდაცვალებას.

დედა ლამარა ბოლქვაძე, მამა სერგო მოსესოვი ნათესავებით იუწყებიან

თემურ სერგოს-ძე მოსესოვის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 19-IX, 5 ს. ქ. ბათუმში; გამოსვენება ბინიდან, გორკის ქ. № 33.

რუსუდან, სოკრატ, ნიკოლოზ ჩარკვიანები, ი. მესხიშვილი, ვ. ჯალაღანია იუწყებიან

მარიამ ივანეს ასულ ამილახვარის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 18-IX 8 ს. დაკრძალვა 19-IX 6 ს. გამოსვენება ბინიდან, სტალინის სანაპირო № 2.

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს აპარატის კოლექტივი იუწყება

ანდრია გრიგოლის-ძე ქრისტესაშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება 19-IX, 5 ს. პაპანინის ქ. № 3.

დედა ლუბა, მამა პარმენ, ძმები ალექსანდრე, ელგუჯა, რძალი ეთერ ლომთაძე იუწყებიან

ნორა პარმენის ასულ გოგავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 18-IX, 8 ს. გამოსვენება 19-IX, 5 ს. ჩოდრიშვილის ქ. № 13.

დედა ოლია, მეუღლე ვენერა, შვილი ლიანა, და მაყვალა, სიძე შ. ჯანიაშვილი იუწყებიან

შოთა ირაკლის-ძე თანდაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 18-IX, 8 ს. რუსთავში, საბჭოს ქ. № 6. გამოსვენება 19-IX, 3 ს., დაკრძალვა თბილისში, ვაკის სასაფლაოზე.

შვილები მიხეილ, სერგო, გრიგოლ, გოგოლა, მარო, ტერეზა, სიძეები ი. თოდუა, ს. ჩანტლაძე ოჯახებით იუწყებიან

კასინე ნიკოლოზის ასულ ახალაძე-დოლიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 19-IX სოფ. ძირგანახლებაში (ჩოხატაურის რ.).

მშობლები ხვთისო, რუსუდან, ძმა თამაზ იუწყებიან

ნელი ხვთისოს ასულ ბენაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 19-IX, 4 ს. დაბა წითელწყაროში.

შვილები ნინო, ჯაბა, გივი, რძალი თამარ ოჯახებით იუწყებიან

ნიკოლოზ ზაქარიას-ძე ამილახვარის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 18-IX, 8 ს. შაუმიანის ქ. № 64. დაკრძალვა 19-IX, 4 ს. გრაკალში (კასპის რ.).

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრებისა და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-18-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელის — 3-57-61, პრესის მიმოხილვისა და პარტბიუროსი — 3-72-80, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 03632

საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.